ა. ა. ტიტოვა

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია

და

ბლეხი ქალი

19 ზრდა 30
ტფილისი

საგაზეთო გამომცემ-
ლობათა სტამბა
„კოლექტივი“
მთავლიტი № 1214
ტირაჟი 2000

კოლმეურნეობის — ღარიბი გლეხ-ქალის სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების სწორი გზაა

რისთვის ცხოვრობს ცუდათ გლეხი-ქალი?

ხშირად გაიგონებთ გლეხი-ქალისაგან საყვედურებს სოფლის მეურნეობის ნაკლოვანებებზე, გლეხის შრომის ძძიმე პირობებზე, უთანხმოებაზე ოჯახში და უწესრიგობაზე საზოგადოებრივ მუშაობაში. გლეხი-ქალი ხელჩაუდებლად მუშაობს ყანაშიც, სახლში თავის კერიასთან, ბავშებსაც უვლის და საქონელსაც. მიუხედავად ამისა, მაინც გაჭირვებულად ცხორობს.

განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება მარტოხელა ღარიბ გლეხ-ქალს, რომელიც დამოუკიდებლად უძღვება თავის მეურნეობას. ასეთი მეურნეობები დღეს ჩვენში, საბჭოთა კავშირში, დიდი რაოდენობით არიან: 100 გლეხურ მეურნეობაზე 14 ასეთი მეურნეობა ჩოდის, ესე იგი ყველა მეურნეობების საერთო რიცხვის 14%-ს შეადგენს. ესენი უმთავრესად ქვრივ-ობლების მეურნეობები არიან — ღარიბი მეურნეობანი.

რისთვის ცხოვრობს ასე ცუდათ გლეხი-ქალი? **გლეხი-ქალი იმიტომ ცხოვრობს ცუდათ, რომ. იგი ჩამორჩენილი, უხსოვარდროინდელი, მამაპაპური საშუალებებეთი ეწევა თავის მეურნეობას. ის მეურნეობას ეწევა მარტოხელა, პატარა ნაჭერ მიწაზე.** ამისთვის ის მცირე მოსავალს ღებულობს და მეურნეობასაც ნაკლები შემოსავალი აქვს.

მეურნეობის ასეთი პრაქტიკული წარმოებით არა მარტო გლეხი-ქალები ზარალობს, არამედ მთელი ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. თუმცა ამჟამად ჩვენს სახელმწიფოში სათესი ფართობი თითქმის ომის წინადროინდელ

დონემდე ავიდა (98% 1913 წელთან შედარებით), საქონლის რიცხვმა კი უკვე გადააჭარბა ომის წინა დროინდელ რაოდენობას (102,8% 1916 წ. შედარებით),—მიუხედავად ამისა, საერთო რაოდენობა ჩვენთვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებისა მაინც არაა საკმაო. ეს იმიტომ ხდება, რომ ომის წინა დროსთან შედარებით ჩვენი მოთხოვნილებები ბევრად გაიზარდენ. უკანასკნელ წლებში მოსახლეობის რაოდენობა ჩვენში ძლიერ გაიზარდა, მაშასადამე, სათესი ფართობის სივრცე მოსახლეობის თითოეულ სულზე შემცირდა (90% 1913 წელთან შედარებით). გარდა ამისა, ახლა ქალაქის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს მეტს ხარჯავს, ვიდრე ომამდი. ამიტომ ქალაქის მოთხოვნილება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საერთოდ იზრდება სოფლის მეურნეობის ნაწარმოები. მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოდ გაიზარდა სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოება (სელის, კანაფის, მზისუმზირას, ქართოფილის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს და სხვ.), იგი მაინც არაა საკმაო ჩვენი მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამისთვის ჩვენ იძულებული ვართ შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან არა მარტო მანქანები, არამედ ზოგიერთი ნედლეულიც კი. ეს იძულებულს გვხდის ჩვენ ნედლეულის შემოტანა დავფაროთ სხვა პროდუქტების გატანით. ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, და ამიტომ საკვლევით გასაგებია, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გატანა. ამჟამად ამ პროდუქტების გატანა მთელი ჩვენი გატანის 60%-ს შეადგენს[1]). გატანის გაზრდება კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჩქარა გავადიდებთ ჩვენ მოსავლიანობას და ჩვენი სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავლიანობას.

---

[1]) იხ. სახელმწიფო საგეგმო კომის:ის 1927/1928 წ. საკონტროლო ციფრები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ცდილობენ უფრო ჩქარა გარდაქმნან გლეხური მეურნეობა და მით გააუმჯობესონ გლეხი-ქალის ცხოვრება

იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ყველა ამ სიძნელეებს და სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება ავსწიოთ, ძველი გზა სოფლის მეურნეობის განვითარებისა უკვე აღარ გამოგვადგება. უკანასკნელი 32 წლის განმავლობაში (1883 წლიდან 1915 წლამდე) პურის საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე გადიდდა მხოლოდ 2,7 ც. ეს გასაგებიც არის. რევოლიუციამდე ხომ ძლიერ შეფერხებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარება: მემამულეების ნება-სურვილით ხელოვნურად შექმნილი ხარვეზობა, მიწის სიმცირე, სუსტი აგრონომიული დახმარება, და მთელი სხვა მიზეზები აფერხებდენ სოფლის მეურნეობის ზრდას.

მართალია, რევოლიუციის შემდეგ გლეხებმა. საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით უკვე აღადგინეს სათესი ფართობის სიერცე, გაადიდეს საქონლის რაოდენობა, აგებენ შენობებს. გლეხები სულ მთლად ძველებური საშუალებებითაც არ უელიან თავის მეურნეობას, ბევრი ახალი შეაქვთ მათ მეურნეობაში: გადადიან მრავალმინდვრიანობაზე, ბალახის თესვაზე, მიმართავენ მიწის დანაკელებას და სხვ., მაგრამ ყველა ეს მიღწევები სრულიად უმნიშვნელოა და არ ჰფარავენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს.

საბჭოთა ხელისუფლებას სურს ახალი ცხოვრების შექმნა.

ახალი ცხოვრების დროს გლეხი-ქალი უფრო ნაკლებს იმუშავებს, თავისი მუშაობისათვის კი უფრო მეტს მიიღებს. გლეხ-ქალს თავისუფალი დრო ექნება გონიერი გასართობისათვის, სწავლა-განათლებისათვის, საზოგადოებრივი მუშაობისათვის და სხვ.

იმისგან, თუ რამდენად ჩქარა შევძლებთ ჩვენ ჩვენი მეურნეობის ახლად გარდაქმნას, შევისწავლით მეურნე-

ობის წარმოებას უფრო ხელსაყრელად, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში, — დამოკიდებულია სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა. ჩვენი ამოცანა მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ომის წინადროინდელ დონეს მივაღწიოთ, ესე იგი, დავთესოთ იმდენივე პური, მოვაშენოთ იმდენივე საქონელი და სხვ. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია მეორე, უფრო დიდი ამოცანისკენ—ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ, სოციალიზმის მშენებლობისაკენ.

ახალი ცხოვრების აშენება ნიშნავს მეურნეობის კოლექტიური ფორმების განვითარებას, პურის მოსავლიანობის გადიდებას, საქონლის ნაყოფიერების ზრდას (ძროხის წველის მომატება, ცხვრის მატყლის და სხვ.). რამდენად მალე დავსძლევთ ჩვენ ამ ამოცანებს, იმდენად ჩქარა გავსწევთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს ახალი ქარხნების აგებას მანქანათმშენებლობისათვის, ტრაქტორმშენებლობისათვის, შინერალური სასუქებისა და სხვა საწარმოო საშუალებათა წარმოებისათვის, რომელნიც აუცილებელი არიან სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. ისეთი ქარხნების მშენებლობა, რომლებიც მანქანებს ამზადებენ, ნიშნავს ჩვენი დამოუკიდებლობის გაძლიერებას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან.

გარდა ამისა, მოსავლიანობის გადიდება ჩვენ საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გატანა საზღვარგარეთ, და მაშასადამე, მივიღოთ იქიდან იმ ქარხნებისათვის, რომელნიც ახლა შენდებიან, ის მოწყობილობანი, რომელნიც ჩვენ არა გვაქვს.

და ბოლოს, მოსავლიანობის გადიდება დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ტეხნიკის გაუმჯობესებასთან, მაშასადამე, მივყევართ მეტი რაოდენობის, ხარისხით საუკეთესო და უფრო იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისკენ. ეს კი იმის თავდებია,

რომ ჩვენ გვუსწრებთ სხვა ქვეყნებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში და ამით საქმით დავუმტკიცებთ მათ, რომ ჩვენ უკეთესად შეგვიძლია მეურნეობის წარმოება, რომ სოციალისტური გზა — ერთადერთი სწორი გზაა.

მაშასადამე, გლეხი-ქალი დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში. მან მთელი ძალღონით უნდა დაეხმაროს ამ დიდ საქმეს. დახმარება კი მას შეუძლია მოსავლიანობის გადიდებით, კოლექტიური მეურნეობის შექმნით როგორც თავის მეურნეობაში, აგრეთვე თავის სოფელში.

ამნაირად, დღეს ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა: ძირიან-ფესვიანად გარდავქმნათ სოფლის მეურნეობა და უფრო ჩქარა, ვიდრე ეს აქამდი ხდებოდა. ამიტომ საკავშირო საბჭოების მე-V ყრილობამ გადასწყვიტა: მახლობელ ხუთწლედში ჩვენი მიწების მოსავლიანობა გაადიდოს 30—35%-ით. სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება აიწევს, პური და სხვა პროდუქტები მეტი იქნება. ცხადია, უფრო ადვილი იქნება ცხოვრება გლეხებისათვისაც და მუშებისათვისაც.

რაგვარ ავსწიოთ სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება?

მარტოხელა ღარიბი გლეხი-ქალისთვის ძნელია მეურნეობის გარდაქმნა. წარსულ მეურნეობაში ხშირად ხელსაყრელი არაა ცხენის შენახვა. მისი რჩენა უფრო მეტი ჯდება, ვიდრე ის სამუშაო, რომელსაც ის მეურნეობისთვის აკეთებს. ცხენი, როგორც ამბობენ, ნთქავს მეურნეობას. ცალკე მეურნეობისთვის აგრეთვე ძნელია რთული მანქანის შეძენა: პირველი, ძნელია იმდენი ფულის თავის მოყრა, რომ მანქანა იყიდო. მეორე, არ შეიძლება ამ მანქანის სრულიად გამოყენება,—ბევრი დრო უქმად იქნება გაჩერებული, არ იმუშავებს. ესეც არაა ხელსაყრელი. მით უმეტეს ვერ გაამართლებს ტრა-

ქტორი თავის დანიშნულებას წვრილ მეურნეობაში. ის ძლიერ ხელსაყრელია მხოლოდ დიდ, მსხვილ მეურნეობაში.

რა გზით შეუძლია ღარიბ გლეხ-ქალს თავისი მეურნეობის გაუმჯობესება?

შეძლებული გლეხები თავის მეურნეობას • თუ კარგი სასოფლო-სამეურნეო მანქანების, გადარჩეული თესლის, ჯიშიანი საქონლის, საწევი ძალის და სხვ. შეძენით აუმჯობესებენ, მარტოხელა ღარიბ გლეხ-ქალს ეს არ შეუძლია. მაგრამ ის, რაც არ შეუძლია ერთ მეურნეობას, შეუძლია რამდენიმე ერთ კოლექტივში გაერთიანებულ მეურნეობებს. ამისათვის არის, რომ კოლმეურნეობების განკარგულებაშია საუკეთესო შენობები, საქონელი და ინვენტარი. კარგი სასოფლო - სამეურნეო იარაღები და მანქანები კი საშუალებას აძლევს კოლმეურნეობებს წესიერად და თავის დროზე დაამუშაონ ნიადაგი, დათესონ გადარჩეული და გაწმენდილი თესლით, მწკრივად სათესით, და ამით ასწიონ პურეულობის მოსავალი.

გარდა იმისა, რომ კოლმეურნეობებისთვის უფრო ადვილია რთული მანქანების შეძენა და საწევი ძალით მომარაგება, იმათთვის ბევრად უფრო ხელსაყრელია, აგრეთვე მანქანების გამოყენებაც. ნამდვილად, თუ რამდენად ხელსაყრელია სასოფლო - სამეურნეო მანქანების კულტურულად გამოყენება, ეს ჩვენ ვიცით უკვე არსებული კოლმეურნეობების გამოცდილებიდან. გარდა ამისა, კოლმეურნეობაში უფრო ადვილია შრომის ორგანიზაცია, შრომის სწორად განაწილება და მოსავლის თავის დროზე აკრეფა. კოლმეურნეობისთვის უფრო ადვილია, ვიდრე ინდივიდუალურისთვის, ტექნიკური კულტურების შემოღება, უფრო ადვილია რძის მეურნეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის და სხვა დარგების მოწყობა, რომლებიც დიდ შრომას მოითხოვენ, მაგრამ ძლიერ სასარგებლო არიან. ამნაირად, კოლმეურნეობაში უფრო ადვილია უმჯობესობის თავიდან აცი-

ლება, აქ შეიძლება ყველამ იშოვოს ნაყოფიერი, სასარგებლო სავეშაო.

კოლმეურნეობაში გაერთიანებით ლარიბი და საშუალო მეურნეობები თავს აღწევენ კულაკის მიერ გაყვლეფას.

ლარიბი გლეხი-ქალისათვის, რომელიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა, ძნელია თავისი მეურნეობა იმ დონემდე აიყვანოს, რომ ის უზრუნველყოფილი იქნეს ყველა აუცილებელ საგნებით. ერთის მხრით, თუ ცხენი შეიძინა ნისიათ, სამაგიეროდ მეორეს მხრივ გუთანი არ აქვს, თუ გუთანი აქვს, ცხენი არ ყაეს ან კიდევ სხვა რაშე. ასეთ შემთხვევებში გლეხი-ქალი იძულებულია უნდა თუ არა, დახმარებისთვის მიმართოს თავის მდიდარ მეზობელს. ეს უკანასკნელი კი რასაკვირველია თავის სურვილისამებრ აწესებს ქირას დახმარების აღმოჩენისთვის. ლარიბი გლეხი-ქალს სხვა გამოსავალი არ აქვს, უნდა დათანხმდეს თავისი მეზობლის პირობებს: კულაკი სრულიად უბრალო დახმარებას აძლევს გლეხ-ქალს, გლეხი-ქალი კი მთელი ზაფხული მისთვის მუშაობს.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველი ძალღონით ცდილობს დაიხსნას და დაიცვას ლარიბი გლეხი ქალი კულაკისგან. ცხენისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად ლარიბი გლეხ-ქალს შეუძლია სესხის მიღება. მისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიღება, მას შეუძლია გამქირავებელ პუნქტიდან. მაგრამ ასეთი დახმარებით მთლიანად არ შეიძლება ყველა ამ წვრილი და უწვრილესი მეურნეობების დაკმაყოფილება. ამით აიხსნება, რომ იმ ლარიბ გლეხი-ქალს, რომელიც ცალკე მეურნეობას ეწევა, არ ძალუძს თავი დააღწიოს კულაკის გაყვლეფას. კოლმეურნეობაში შესვლით კი ის თავისუფლდება კულაკის დახმარებისგან. კოლმეურნეობაში ყველა წევრები ერთად იყენებენ მათ განკარგულებაში მყოფ საწარმოო საშუალებებს: (ცხენებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და იარაღებს)

სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის წარსულიდან აუარებელი ფაქტები ლაპარაკობენ იმის სასარგებლოდ, რომ წვრილი მეურნეობის განვითარების ყველაზე უფრო სწორი გზაა—მათი კოლმეურნეობაში გაერთიანება.

ამნაირად, ღარიბ გლეხ-ქალებს დიდი წარმატებით შეუძლიათ თავისი ცხოვრების გაუმჯობესება, თუ ისინი შექმნიან მსხვილ კოლექტიურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ამისათვის შეიძლება კოლმეურნეობაში გაერთიანება, მიწის საერთო დამმუშავებელ ამხანაგობაში. გაერთიანება სამანქანო ამხანაგობებში და სხვა უფრო რთულ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებში — არტელებში და კომუნებში გაერთიანება.

კოლმეურნეობამ დაამტკიცა თავისი ცხოველყოფელობა

კოლმეურნეობების წარსული მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, **კოლმეურნეობები იზრდებოდენ და ვითარდებოდენ.** ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, მთელი სახალხო მეურნეობის საერთო გარდაქმნის ხანაში, კოლმეურნეობებს თუ უდიდეს სიძნელეები ელობებოდენ წინ, ამჟამად მათ **წარმატებით** დააღწიეს თავი კრიზისს და ჩქარი ტემპით იწყეს განვითარება. თუ 1923 წ. 9.201 კოლმეურნეობა იყო, 1926 წ. ეს ციფრი—14.062-დი გაიზარდა, 1927 წ. კი — 18.588-დი ავიდა, 1928 წელში კოლმეურნეობათა საერთო რიცხვი 35.897 აღწევს. კოლმეურნეობების წევრთა რიცხვი 1923 წ. იყო 212.501, 1926 წ.— 324.069, 1927 წ. — 264.800 წევრი, 1928 წელს კი ეს ციფრი გაიზარდა 448 ათასამდი.

მთელი რიგი მაგალითებიდან სჩანს, რომ კოლმეურნეობები არა მარტო რაოდენობით იზრდებიან, არამედ, ისინი სოფლის კულტურულ კერად, სოფლის ფართო მასებისთვის მაგალითი ხდებიან. ღარიბი და საშუალო შეძ-

ლების გლეხები საკმაოდ დარწმუნდენ, რომ კოლმეურნეობებში გაერთიანებით შეიძლება **უფრო ჩქარა** მოეწყოს შემოსავლიანი მეურნეობა, მოხერხდეს **უკეთესი** სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შეძენა, უფრო ადვილად შეიძლება გადარჩეული თესლით თესვა, ჯიშიანი საქონლის შეძენა, სასოფლო-სამეურნეო სესხის უფრო ადვილად მიღება, თავისი ყოფა-ცხოვრების **უფრო ჩქარა** გაუმჯობესება და სხვ. ამაზე მოწმობს უკანასკნელ წელში კოლმეურნეობების ძლიერი ზრდა.

რა უპირატესობას ღებულობს გლეხი-ქალი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით

რას აძლევს ეკონომიურად გლეხ-ქალს კოლმეურნეობა?

კოლმეურნეობაში გლეხ-ქალის შრომა უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობაში. ეს შემდეგი ციფრებიდანაც სჩანს. კოლექტივებში საერთო შემოსავალი წლიურად თვითეულ მეამელზე მოდის 138 მანეთიდან—383 მანეთამდი. გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობაში კი ეს შემოსავალი 92 მან.—181 მან. უდრის[1])

კოლმეურნეობებში შრომა უფრო ინტენსიური და უფრო ნაყოფიერია. მაგალითისთვის ავიღოთ ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობები. იქ, კოლმეურნეობაში, თითეულ მეამელზე მოდიოდა 2,07 ჰექტ. *) ნათესი, ინდივიდუალურ მეურნეობაში კი—1,4 ჰექტ., 1926 წ. კოლმეურნეობაში ნათესის ფართობი თითეულ მეამელზე ავიდა 2,8 ჰექტარამდი, ინდივიდუალურ მეურნეობაში კი ისევ 1,4 ჰექტარი დარჩა. მაშასადამე, ინდივიდუ-

---

[1]) იხ. კინდეევის სტატ. „ხლეხის სას.-სამ. ენციკლობედიაში“.

[2]) ჰექტარი=0.9 დესეტინა.

ალურ მეურნეობაში თითეულ მჭამელზე უფრო ნაკლები შემოსავალი მოდის, და იქ ხალხი უფრო ღარიბად ცხოვრობს, თუმცა მეტს მუშაობს.

კოლმეურნეობები სოფლად ზედმეტი შრომის მოსახმარებლები არიან. თუ კერძო მეპატრონისთვის ძნელია თავისუფალ დროს სამუშაოს მოძებნა, ძნელია დამხმარე საწარმოს მოწყობა, კოლმეურნეობაში ამის გაკეთება ადვილად შეიძლება. კერძოდ გლეხ-ქალისათვის სეპარატორის ყიდვაც კი ძნელია, არა თუ ზეთის სახდელი ქარხნის აგება, კოლმეურნეობებს კი შეუძლიათ ჯგუფებად გაერთიანდენ და ამ ჯგუფში რამდენიმე კოლმეურნეობისათვის ააშენონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებლად მათთვის საჭირო საწარმოო. ამ საქმისთვის კოლმეურნეობებს ადვილად შეუძლიათ სესხის მიღება. ამნაირად, კოლმეურნეობაში უფრო ადვილია ზედმეტი შრომის გამოყენება სასარგებლო და საშემოსავლო საქმეზე, ვიდრე გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობაში.

კოლექტიური მეურნეობები უფრო ჩქარა - იზრდებიან და-ვითარდებიან, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობები. კოლმეურნეობებში უფრო ჩქარა ხდება მიწით უზრუნველყოფა, და აგრეთვე იზრდება სათესი მიწების ფართობი. მოვაგალითისთვის ავიღოთ ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობები, იქ სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო ფართობი საშუალოდ 1 კოლმეურნეობაზე 1925 წლიდან 1927 წლამდი 217,0 ჰექტარიდან. 253,3 ჰექტარამდი გაიზარდა. სასოფლო-სამეურნეო ფართობი კი თითეულ მჭამელზე გაიზარდა 3,5 ჰექტ. 4,4 ჰექტარამდი. სათესი ფართობი თითეულ მჭამელზე იმავე დროს განმავლობაში გაიზარდა 2-დან 2,9 ჰექტარამდი. მაშინ, როდესაც გლეხურ მეურნეობაში თითეულ მჭამელზე საშუალოდ მოდის ყველა მიწების 3,7 ჰექტ.

კოლმეურნეობაში გლეხი-ქალის შრომა შემხებულია გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოღებით. კოლმეურნეობანი უფრო ხელსაყრელ

პირობებში იმყოფებიან საწარმოო საშუალებათა მომარაგების მხრითაც, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობანი: საწევი ძალით და სასოფლო-სამეურნეო იარაღით. გლეხ-ქალს. რომელიც ინდივიდუალურ მეურნეობას ეწევა, ხშირად არ აქვს არც გუთანი, არც სახნისი. მით, უმეტეს, იშვიათად შეხვდებით ინდივიდუალურ მეურნეობაში მოსამკი, სალეწ და თესლის გადასარჩევ მანქანებს. გლეხ-ქალმა წელში მოღუნული ნამგლით უნდა მომკას პური, კევრით გალეწოს და გადაურჩეველი ხორბალი დათესოს. ყველაფერი ეს ძლიერ ბევრსა და მძიმე, გლეხი - ქალისთვის ხშირად აუტანელ შრომას მოითხოვს, შედეგებს კი ცუდს იძლევა. სახნავი მიწა ცუდათ იხვნება, გაურჩეველი ხორბალი ცუდ მოსავალს იძლევა, კევრით გალეწის დროს ბევრი ხორბალი იკარგება, რაც რჩება ისიც ნაგვიანდება და მცირე ფასებში იყიდება.

სხვა მდგმოარეობაა კოლმეურნეობაში. აქ გლეხი ქალის შრომა ბევრად შემსუბუქებულია, რადგან კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, არა მარტო გუთნებით, არამედ სათესი მანქანებით, ტრაქტორებით, რთული სალეწი მანქანებით, ძნების შესაკრავებით, ხორბლის სარჩევი მანქანებით და სხვ.

კოლექტიურმა მეურნეობებმა თავისი არსებობის განმავლობაში (4—5 წ.) სასოფლო-სამეურნეო იარაღები გაამრავლეს კომუნებში — 84 პროც.-ით, არტელებში — 21 პროც.-ით, ამხანაგობებში — 51 პროც.-ით. მაშასადამე, კოლმეურნეობებში შრომას უმთავრეს შემთხვევაში მანქანებით ცვლიან. ამნაირად, კოლმეურნეობის ბევრ გლეხ-ქალს უფრო ნაკლები და უფრო იოლი შრომა უხდება.

კოლმეურნეობები უფრო მეტად არიან უზრუნველყოფილი საწევი ძალით — მუშა-საქონლითა და ტრაქტორებით. თუ უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში მუშა-საქონელი (ცხენები და ხარები) არტელებში 29 პროც.-ით გაიზარდა, ამხანაგობებში კი—81 პროც.-

ით, ინდივიდუალურ მეურნეობებში ეს გადიდება მოხდა მხოლოდ 24 პროც.-ით. გარდა ამისა კოლმეურნეობები კიდევ მით განსხვავდებიან, რომ იქ მუშა-საქონლის გამოყენება უფრო ხელსაყრელად ხდება. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობებში ერთ სულ მუშა საქონელზე არტელებსა და ამხნაგობებში 9—10 ჰექტარი ნათესი მოდის, კომუნებში კი—16—17 ჰექტ. აქიდან ცხადია, რომ კოლმეურნეობებში ცხენი მეტს მუშაობს, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობებში. ბევრი წვრილი მეურნეობისათვის სრულებით არაა ხელსაყრელი ცხენის ყოლა, რადგან მისი შენახვა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ის მუშაობა, რომელსაც ის ეწევა.

მესაქონლეობა კოლმეურნეობაში უფრო ჩქარა ვითარდება, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობაში. უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში კოლმეურნეობებმა 2—4-ჯერ გაადიდეს თავისი საქონლის რაოდენობა, ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით. მაგრამ კოლმეურნეობებში მარტო რაოდენობის მხრით კი არ ვითარდება მესაქონლეობა, არამედ უმჯობესდება საქონლის ღირსებაც. ინდივიდუალურ მეურნე-გლეხებს საერთოდ ადგილობრივი მდარე ხარისხის საქონელი ყავთ. კოლმეურნეობებში კი ძროხების 24 პროც. გაუმჯობესებული ჯიშიანი მოდგმის არიან, ღორების 60 პროც. გაუმჯობესებული მოდგმისაა. ბევრი კოლმეურნეობა წელიწადში ძროხის წველიდან 32,8 ც.[1]) რძეს ღებულობს. გლეხის მეურნეობაში კი ძროხა იძლევა დაახლოვებით 13,1 ც.-ს.

კოლმეურნეობაში უფრო ადვილია სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და მათი გასაღების მოწყობა. გლეხი ქალისთვის, მის ინდივიდუალურ მეურნეობაში, თუ სადმე ახლო მდებარე ბაზარში არ შეუძლია თავისი ნაწარმოების გაყიდვა, ხელსაყრელი არაა სოფლის სპეციალური დარგების განვითარება: რძის გა-

---

[1]) ცენტერი=6,1 ფუთი.

დამუშავება. მებოსტნეობა, მებაღეობა, მეფრინველეობა და სხვ. პატარა მეურნეობას არ ძალუძს, და მისთვის ხელსაყრელიც არ არის კუსტარული საწარმოს მოწყობა. სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გატანა შეიძლება მხოლოდ მახლობლად მდებარე ბაზარზე და ისიც თუ კარგად არის მოწყობილი გადატანის საქმე. დიდ მანძილზე ხელსაყრელია მხოლოდ გადამუშავებული პროდუქტების გადატანა. ბევრი სხვადასხვა პროდუქტების გადამუშავება შეიძლება შინაური საშუალებებით — მაგალითად, კარაქის და ერბოს გაკეთება, ხილეულობისა და მწვანილეულობის გახმობა. მაგრამ ასეთი კუსტარული საშუალებებით დამზადებული პროდუქტები ძვირი ჯდება და ხარისხითაც უვარგისია.

კოლმეურნეობაში შესვლით კი გლეხი ქალი თავისუფლდება იმ უმადურ შრომისგან, რომელსაც იგი ხარჯავს ერბო - კარაქის კეთებაზე, ხილეულობისა და ბოსტნეულობის გახმობაზე. აქ სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარების შემთხვევაში შენდება საწარმო და ეწყობა პროდუქტების ხელსაყრელ პირობებში გასალება.

ყველა ზემონათქვამიდან სჩანს, რომ კოლმეურნეობაში მომუშავე გლეხი ქალი უფრო ჩქარა აუმჯობესებს თავის ცხოვრებას. აქ, დიდი კოლექტიური ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად იგი აშენებს თავის ახალ, უფრო ბედნიერ და კულტურულ ცხოვრებას.

კოლმეურნეობა კულტურული და ნაყოფიერი მეურნეობის შექმნის შესაძლებლობას იძლევა

დიდი გასაჭირი ატყდება თავზე გლეხურ მეურნეობას სოფლის მეურნეობის უკულტურო, ძველი, მამაპაპურად წარმოებისათვის. უწესოდ და ცუდათ დამუშავებული ნიადაგი, უდროოდ თესვა, გადაუხარისხებელი და გადაურჩეველი თესლით თესვა, მცენარეების ცუდი მოვ-

ლა, უდროოდ აკრეფა და შეწახვა, თესლბრუნვის სამ მინდვრიანი სისტემა—ყველაფერი ეს ამცირებს მოსავლიანობას. იწვევს საქონლის საკვების ნაკლებობას, საქონლის ნაყოფიერების შემცირებას, წველის დაკლებას და სხვ. ეს იწვევს სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის შემცირებას.

როგორ ადიდებენ კოლმეურნეობები თავისი მეურნეობის შემოსავლიანობას?

კოლმეურნეობები ცდილობენ უფრო კულტურულად აწარმოონ თავისი მეურნეობა. იმათ გაუმჯობესება შეაქვთ თავის მეურნეობაში, და ამას ისინი უფრო ჩქარა ახერხებენ, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობანი.

კოლმეურნეობები უფრო მისდევენ ძრავად მოხვნას, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობები. ჩვენში ჩვეულებრივად საგაზაფხულო თესვისთვის მიწის დამუშავებას იწყებენ გაზაფხულზე, თვით თესვის დაწყების წინ. ეს კი იმას იწვევს, რომ შემოდგომის ნათესის აკრეფის შემდეგ, ზაფხულის ნაწილისა და მთელი შემოდგომის განმავლობაში მიწა ხელუხლებლად რჩება, ამოდის სხვადასხვა ბალახები, რომელზეც საქონელს აძოვებენ, ამიტომ მიწა იტენება და ხმება. უფრო სწორია, რომ საგაზაფხულო თესვისთვის მიწა ადრე მუშავდებოდეს; იწმინდებოდეს ბალახებისაგან და ხვიერდებოდეს. ეს ხელს უწყობს საკვები ნივთიერების დაგროვებას ნიადაგში, რაც მალალ მოსავალს იძლევა. აი ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ საგაზაფხულო თესვისთვის მიწა გაზაფხულზე კი არ დავხნათ, არამედ შემოდგომაზე, საშემოდგომო ნათესის აკრეფის შემდეგ. კოლმეურნეობებში ეჭერებენ აგრონომის რჩევას, და ამიტომ იქ ძრავად მოხნული ფართობი უდრის: კოლმეურნეობებში — 37 პროც., არტელებში — 59 პროც., ამხანაგობებში — 65 პროც. გლეხურ მეურნეობებში კი ძრავად მოხნული ფართობის სივრცე უდრის მხოლოდ — 14 პროც.-ს[1].) მაშასადამე,

[1]) ციფრები აღებულია კინდეევის სტატიიდან „გლეხის სას.-სამ ენციკლოპედიაში“.

კოლმეურნეობაში ჩაწერილ გლეხ-ქალს უფრო მალე ძეუძლია თავისი მეურნეობის გაუმჯობესება.

კოლმეურნეობები თავის მეურნეობებში კულტურულად აწარმოებენ მიწის შესვენებას.

ჩვენ ვიცით, რომ სოფლის მეურნეობაში ნიადაგის შესვენებით დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. შესვენების დროს ნიადაგი საკვებ ნივთიერებას აგროვებს. აქიტომ მიწის შესვენებით დამუშავება განსაკუთრებით უნდა აინტერესებდეს გლეხ-ქალს. ჩვეულებრივად მარტოხელა გლეხი-ქალი მიმართავს გვიან ნასვენს, ე. ი. ნესვენებულ მიწას პირველად ივნისში ხნავენ. ასეთ დროს მოხნული ნიადაგი ხმება, ბალახებით ივსება, რომლებიც ბევრ საკვებ მასალას ხარჯავს, ნიადაგი იფიტება, საშემოდგომო ნათესისთვის არახელსაყრელი პირობები იქმნება და მოსავლიანობა მცირდება. კოლმეურნეობაში კი გლეხი-ქალი ამას უფრო მალე დააღწევს თავს, გამოასწორებს ამ ნაკლოვანებას და შესვენებული მიწის უფრო კულტურულად დამუშავებას ბიჭყობს ხელს. კოლმეურნეობების 75 პროცენტში [1]) ადრეული ნასვენი ტარდება (დაბენა—აპრილსა და მაისში). შესვენებული მიწის ადრიანად დაბენით ნიადაგში თავს იყრის საკმაო რაოდენობის სიენტე, საკვები ნივთიერებანი, ისპობა ბალახები. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის ათი წლის გამოცდილებიდან სჩანს, თუ რა დიდი განსხვავებაა ადრეულ ნასვენსა და გვიან ნასვენს შორის. თუ გვიან ნასვენი (ათი წლის გარმავლობაში) საშუალოდ ჰექტარიდან 18,4 ც. იძლევა, ადრეული ნათესი—27,5 ც. იძლევა. ამ-ნაირად, კოლმეურნეობაში მყოფ გლეხ-ქალს შესვენებული ნიადაგის კულტურულად დამუშავებით მალე შეუძლია მოსავლიანობის გადიდება.

კოლმეურნეობაში უფრო ადვილია მრავალმინდვრიანი თესლბრუნვის შემოღება. ყოველი მეურნეობის

---

[1]) იხ. კონდეევის სტატ. „გლეხის სას. სამ. ენციკლოპედიაში“.

მოწყობის დროს ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს სწორი მრავალმინდვრიანი თესლბრუნვის შემოღებას. მიუხედავად ამისა ინდივიდუალურ მეურნეობებში მრავალმინდვრიანი თესლბრუნვა დღემდის 100-დან მხოლოდ 6 მეურნეობაშია შემოღებული. ეს იმიტომ ხდება, რომ დიდ სოფელში, სადაც აუარება წვრილი .დაქუცმაცებული მეურნეობაა, ძნელია ყველა დაითანხმო, დაარწმუნო, რომ საჭიროა მეურნეობაში რაიმე გაუმჯობესებაზე გადასვლა. ეს უფრო აუცილი მოსახერხებელია კოლმეურნეობაში, სადაც ყველა მიწები ან მიწების ნაწილი—კოლექტიურია, სადაც რამდენიმე მეურნეობაა, რომელსაც აქვს საწარმოო საშუალებები, ძაშა-საქონელი, ტრაქტორები და სხვა მანქანები, სადაც საერთო ინტერესები მოქმედებენ და ხალხი შემკიდროებულად ცხოვრობს. კოლმეურნეობებში 100 მეურნეობიდან 70 მეურნეობაში მრავალმინდვრიანი თესლბრუნვაა შემოღებული[1]).

ყველა ზევით აწერილი უპირატესობების შედეგად პურის მოსავლიანობა და საქონლის ხაყოფიერება კოლმეურნეობებში უფრო მაღლა დგას, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობებში. ლენინის სახ. კომუნაში (კირსანოვის რაიონი, ტამბოვის გუბ.) მოსავალი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში. 1926 წ. ამ კომუნაში ჰექტარ მიწაზე მოსავალი უდრიდა ჭვავის—19,1 ც., შვრიის—22,9 ც.; გლეხებმა კი ჰექტარიდან შეკრიბეს: ჭვავი—9,0 ც., შვრია—9,8—11,5 ც. ასეთივე დგომარეობა იყო 1927 წელშიც. ჭვავის მოსავალი ერთი ჰექტარიდან კომუნაში უდრიდა — 21,3 ც., ფეტვის — 21,3 ც.; გლეხურ მეურნეობაში კი ,ჭვავის — 11,5—12,3 ც., ფეტვის—14,7 ც.

თუ ინდივიდუალურ მეურნეობაში ძნელია ისეთი წესის შემოღება, რომ დროზე და ნორმაზე კვებო საქონელი და სათანადოთ მოუარო მას, კოლმეურნეობაში ამის გაკეთება უფრო იოლია. აქ მეტი შესაძლებლობაა

---

[2]) იხ. კინდეევის სტატ. „გლეხის სას. სამ. ენციკლოპედიაში“.

საქონლისთვის საკეთესო საფეხურის მოსაწყობად, საჭირო საკვების საკმაოდ მომარაგებისთვის.

აი, სწორედ ამიტომ გლეხი-ქალი კოლმეურნეობაში უფრო მალე მოახერხებს თავისი მეურნეობის კულტურულად დაყენებას, უფრო მალე შესძლებს თავისი მეურნეობის გაუმჯობესებას, კარგი მოსავალის მიღებას და, მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდებას.

კოლმეურნეობა უკეთესად აწესებს გლეხი-ქალის შრომას

კოლმეურნეობაში შეიძლება შრომის სწორად მოწყობა. კოლმეურნეობაში ხშირად საქმეს არ აქვს ბარაქა. იმიტომ, რომ ოჯახი დიდია და მუშა-ხელი კი ცოტა. ან ბავშვები ბევრია, მაგრამ შრომა უწესოდ არის დაყენებული. კერძო მეურნეობაში ყველა სასოფლო-სამეურნეო საქმეების გაკეთება უხდება ერთ-ორ მომუშავეს; მაშასადამე ერთმა მომუშავემ ყველაფრის გაკეთება უნდა იცოდეს. ამის მიღწევა ყოველთვის არ შეიძლება და მეტ დროს მოითხოვს თითეულ სამუშაოზე. ვიდრე იმ შემთხვევაში თითეულ მუშას, რომ თავისი საკუთარი დარგი ჰქონდეს.

სულ სხვა საქმეა კოლმეურნეობებში. აქ შრომა პირადი დაინტერესების ნიადაგზე ეწყობა. შრომის შედეგი კი იყოფიან მეამელთა რიცხვის, ან მუშაკების, ან პაიების მიხედვით.

კარგად არის მაგალითად. მოწყობილი შრომა კრასნოდარის ამხანაგობაში ტულის გუბერნიაში. იქ ყველა საქმეებს ხელმძღვანელობს საბჭოს გამგეობა; ყოველი დარგისთვის გამოყოფილია ცალკე გამგე. რომელიც პასუხისმგებელია ამ დარგში მოცემული ამოცანის შესრულებისთვის. შრომა განაწილებულია შრომის უნარიანობაზე, ე. ი. ყველა შრომის უნარის მქონე ვალდებულია მიანაწილეობა მიიღოს მუშაობაში, ზაფხულობით კი

ოლი სამუშაოების შესასრულებლად ბავშვებიც გაყავთ. დაწესებულია სამუშაო დროის განსაზღვრული ხანგრძლივობა მაგალითად ზრდასრულებისათვის. ზედმეტი მუშაობისთვის ერთ - ნახევარჯერ მეტს იძლევიან. შემოღებულია სამუშაოს მიცემის განსაზღვრული წესი: შრომის ფურცლის მქონე წევრების 50 პროც.-ს ეძლევათ განსაზღვრული და მუდმივი სამუშაო (სპეციალისტები, დარგების გამგეები, მიმაგრებული მუშები). დანარჩენები სამუშაოს ღებულობენ განაწესით. თუ კოლმეურნეობის ყველა წევრებისათვის არაა საკმაო სამუშაო, იმ შემთხვევაში პირველ რიგში სამუშაოს აძლევენ უფრო ხელმოკლეებს.

კოლმეურნეობაში გლეხ-ქალს უკეთესად შეუძლია მოაწყოს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა

კოლმეურნეობებს შეუძლიათ უკეთესად დააყენონ ჯანმრთელობის დაცვა, უკეთესად მოაწყონ საექიმო დახმარება. სოფელში, განსაკუთრებით, რომელიც დაშორებულია თემის ცენტრს, ხშირად გაიგონებთ საყვედურს, იმის შესახებ, რომ იქ ექიმი არის დაყენებული საექიმო დახმარება, რომ ექიმი თუ ფერშალი სოფელში მიდიან მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში სპეციალური ბრძანებით. ეს ორნაირი მიზეზით აიხსნება. ერთის მხრივ თვით მოსახლეობა, განსაკუთრებით დიდი თემები, ვერ ახერხებენ მოაწყონ ყველა ავადმყოფების პერიოდულად გასინჯვა, მეორეს მხრივ კი სოფლად მედმოღშაკეთა ნაკლებობით.

ჯგუფებად შეკავშირებულ (ახლო მდებარე კოლმეურნეობათა ჯგუფი) კოლმეურნეობებს კი მეტი შესაძლებლობა აქვს უზრუნველყონ თავისი თავი საექიმო დახმარებით. მათ შეუძლიათ დროგამოშვებით მოიწვიონ ექიმი თემიდან ავადმყოფების გასასინჯათ, ან მხოლოდ კოლმეურნეობათა ჯგუფის მუდმივი ექიმი.

კოლმეურნეობებში აგრეთვე ორსულ გლეხ-ქალებს მოეცალა, რიგი შეღავათები ეძლევათ. ასე, მაგალითად, ლენინის სახ. კომუნაში (ტამბოვის გუბ.). ორსული ქალებს ლებულობენ ორი თვის შვებულებას თავისი ხელფასის შენახვით, ძუძუმწოვარ ბავშვიან ქალებს სამუშაო მათ ბინებთან ახლოს ეძლევათ. კომუნა „ცხოვრების ციხეში“ (სროსტინის რაიონი) ორსული ქალები სამუშაოდან თავისუფლდებიან 6 კვირით, სანამ კვირით მორჩენამდე და სანამ კვირით მორჩენის შემდეგ. ამ 6 კვირის განმავლობაში ისინი სრულ ხელფასს იღებენ. ზაფხულობით კი ძუძუმწოვარა ბავშვიანი ქალები ყოველდღე 2 საათით თავისუფლდებიან სამუშაოსგან ბავშვების გამოსაკვებათ ხელფასის გამოუკლებლად.

რა გზით უმჯობესდება გლეხი-ქალის ყოფა-ცხოვრება კოლმეურნეობებში

გლეხი-ქალი კოლმეურნეობაში მონა კი არ არის, არამედ საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრია. სოფლად თუ ჯერ კიდევ ყოველ ფეხის გადადგმაზე შეიძლება შეეხვდეთ ლოთობას, გინებას, აყალ-მაყალს, ცემა-ტყეპას. კოლმეურნეობები უკვე სხვანაირ ცხოვრებას იწყებენ. აი, მაგალითად, ვორონეჟის გუბერნიაში არის სასოფლო-სამეურნეო არტელი „ჩვენი ცხოვრება“, იქ თანდათანობით შეიცვალა ყოფა-ცხოვრების პირობები. პირველ დროს იყო შემთხვევები, როდესაც ქმრები ცემდენ თავის ცოლებს. არტელის მოწინავე წევრები თვალყურს ადევნებდენ ამას. არტელის შეგნებულ წევრებს გამოიწვევდენ ხოლმე გამგეობის სხდომებზე, უკრძალავდენ მათ ცოლების ცემას. დღეს არტელში ძველი ზნეჩვეულებიდან არაფერი არ დარჩენილა. სრულიად შეიცვალა დამოკიდებულება გლეხ-ქალთან. თუ წინად, არტელში გაერთიანებამდე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სცემდენ ქალს, ის ადამიანად არ მიაჩნდათ, ეხლა ვერავინ ვერ

ახლებს მას ხელს. მამაკაცებმა შეიგნეს, რომ გლეხი-ქალი მონა კი არ არის, არამედ ამხანაგია ცხოვრებასა და მუშაობაში.

ლენინის სახელობის კომუნაში (ტამბოვის გუბ.) ერთი კომუნარი ცოლის გალახვისთვის მესამე შენიშვნის შემდეგ, სრულიად გამორიცხეს კომუნიდან. ამის შემდეგ ასეთი შემთხვევები აღარ განმეორებულა, ოჯახებში ამხანაგური დამოკიდებულება დამყარდა.

ბავშვების აღზრდა კოლმეურნეობაში უკეთესად არის დაყენებული. თემში ბავშვები სკოლის ჰასაკამდი არავითარ აღზრდას არ ღებულობენ. დედას, რომელიც მუშაობს ოჯახშიც და მინდორშიც არ შეუძლია ბავშვებსაც შეხედოს, და მათ სახლში სტოვებს ბედის ანაბარად.

კოლმეურნეობაში კი ბავშვებზე ზრუნავს მთელი კოლექტივი. აქ ეწყობა საბავშო ბაგები, ბაღები, კერები და სხვ. აი, როგორ მოაწყო სკოლის ჰასაკამდი ბავშვების აღზრდის საქმე კომუნა „წითელ ვარსკვლავმა“ სტავროპოლის ოლქში. ყველა ბავშვები სკოლის ჰასაკამდე ზაფხულობით, სკოლაში მეცადინეობის შეწყვეტის შემდეგ, ცხოვრობენ სკოლაში და სახლში მხოლოდ იშვიათად დადიან მშობლების სანახავად. სკოლა მოთავსებულია ბაღში. იქ არის სამზარეულოც, სასადილოც, დასაძინებელიც. ეზოში ქვიშის მოედანი. ბავშვებთან არიან რაიონის განათლების განყოფილებიდან გამოგზავნილი ორი ფუფასო აღმზრდელი — პრაქტიკანტი ქალი. ბავშვები ჯანმრთელი და მბიარული არიან.

ლენინის სახელობის კომუნაშიც ბავშვები კომუნის სრულ კმაყოფაზე იმყოფებიან. აქვთ ბაგე და საბავშო კერა. აქ მუშაობს სამი კომუნარი ქალი. რომელთაც არ აქვთ სპეციალური მომზადება. მაგრამ მაგიერად გამოცდილი არიან. ბაგესთან მოწყობილია საბავშო სამზარეულო, სადაც სპეციალურად ბავშვებისთვის მზადდება საჭმელი. საბავშო კერასაც კომუნარი-ქალი ხელმძღვანელობს, არც მას აქვს სპეციალური მომზადება, მაგრამ გა-

მოცდილება მიიღო წინად მომუშავე სპეციალისტ - ქალისგან.

სწორედ ასევე კარგად არის დაყენებული კომუნებში სკოლის ჭასაკის ბავშთა აღზრდაც. ძაგალითად, კომუნაში „ცხოვრების ცისკარი" (სროსტინის რაიონი) სკოლის ჭასაკის ყველა ბავშვები დადიან სკოლაში. მიუხედავად საცხოვრებელ სახლების ნაკლებობისა, სკოლას ნახევარი სახლი მიუჩინეს. ლენინის სახელობის კომუნაში კი ეს საქმე სხვანაირად არის მოწყობილი. კომუნარების ბავშვები სწავლობენ ქალაქ კირსანოვის 1-ლ და მე-2 საფეხურის სკოლებში, სადაც მათთვის მოწყობილია საერთო საცხოვრებელი.

რისთვის არ შეიძლება სოფელშიც ასევე კარგად მოეწყოს ბავშების აღზრდა? იმიტომ, რომ იქ ყველა თავის თავზე ზრუნავს, კოლმეურნეობაში კი ყველა ერთისთვის ფიქრობს და ერთი კი ყველასთვის. საერთო ბალანსით უფრო ჩქარა შეიძლება ყოველი საქმის გაკეთება.

კოლმეურნეობაში უფრო ხელსაყრელად შეიძლება საზოგადოებრივი კვების მოწყობა. კოლმეურნეობაში გლეხ-ქალს შეუძლია თავი დააღწიოს ზედმეტ და უსარგებლო შრომას. რისთვის უნდა აკეთოს სადილი ყველამ ცალ-ცალკე თავის ქოთანში, ცალკე ღუმელზე, როდესაც ადვილად შეიძლება საერთო სასადილოს მოწყობა, თავისუფალი დრო კი შეიძლება მოახმარო სხვა უფრო სასარგებლო საქმეს. **ბევრმა კოლმეურნეობებმა უკვე რამდენიმე წლის წინად მოაწყვეს საზოგადოებრივი კვება.** კომუნაში „წითელ ვარსკვლავი" (არხანგელის გუბ.) იკვებებიან საერთო კომუნალურ სასადილოში. საჭიელი მსადდება კომუნალურ საძხარეულოში. კვების საქმის ასეთნაირი მოწყობით თვალსაჩინოდ მცირდება ხარჯები და სამუშაო დრო. ქალები იქ განთავისუფლებული არიან სადილის კეთებისგან, აძის მაგიერად მეტ დროს ახმარებენ ბავშების აღზრდას და საქონლის მოვლას. კარგად არის დაყენებული კვების საქმე აგრეთვე

ლენინის სახელობის კომუნაში. მათ აქვთ საზოგადო სასადილო, სადაც დიდები იკვებებიან. ბავშვებისთვის კი კერაში მიაქვთ საჭმელი სასადილოდან. საუზმის, სადილისა და ვახშმის ფასს (35 კაპ. დღეში) კომუნარები იხდიან თავისი ჯამაგირიდან. საჭმელი გემრიელია, ახალი პროდუქტებისგან მზადდება. სამზარეულო წმინდაა. თვითეულს ცალკე ეძლევა სუფრის იარაღი. საჭმელი სუფრაზე წმინდათ ჩაცმულ კომუნარ-ქალებს მოაქვთ.

გლეხ-ქალს კოლმეურნეობაში უფრო მალე და უფრო წარმატებით შეუძლია გაიუმჯობესოს ბინის პირობები. ბატონყმობა გლეხი-ქალი ძალიან ხშირად უწინდურ, ძველ ქოხში ცხოვრობს, სადაც ზამთრობით ბავშვებთან ერთად ბატკნები და ხბოები არიან მოთავსებული. სამუშაოთ დატვირთული გლეხი-ქალი ვერ ასწრებს ქოხის თავის დროზე და კარგად დაგვას და დალაგებას. მას ყველგან უბდება მუშაობა: საქონლის მიხედვა, სადილის გაკეთება, ბავშვების მოვლა, ზაფხულობით კიდევ მინდორში მუშაობა.

კოლმეურნეობაში კი სხვანაირად შეიძლება ცხოვრების მოწყობა. ლენინის სახელობის კომუნაში, კომუნარების საცხოვრებელი ოთახები მეტ ნაწილად ძალიან სუფთად არიან შილაგებული, კარგი ავეჯით მოწყობილი (რომელსაც თვითონვე აკეთებენ), ტახტები გადაფარებულია თეთრი საბნებით, ბალიშებზე წმინდა თეთრი პირები გადაკრული, ფანჯრებზე თეთრი ფარდებია ჩამოფარებული, კედლები მოწყობილია სურათებით.

ვინაიდან კოლმეურნეობაში სწორად არის მოწყობილი შრომა, აქ დასვენებისთვისაც უფრო მეტი დრო რჩება. ინდივიდუალურ მეურნეობაში სოფლად, გლეხ-ქალს თითქმის არასოდეს არ რჩება დასასვენებელი დრო. უქმეებში კი მათ კიდევ მეტი შრომა აქვთ. კოლმეურნეობაში მოწყობით კი გლეხ - ქალს შეუძლია დასვენება, მაგრამ ისე კი არა, როგორც სოფელში, არამედ სხვანაირად, უფრო კულტურულად. კოლმეურნეობაში დასვენების დროს ისმენენ რადიოს, ნახულობენ კინო-სურა-

თებს, აწყობენ წარმოდგენებს, ერთობიან ფიზკულტურით, მოთხრობების კითხვით, თამაშობენ ჭადრაკს, აწყობენ სეირნობას და ექსკურსიებს, სათამაშოებს და სხვ. სხვანაირად რომ ვსთქვათ. კოლმეურნეობებში დასვენება ისე ეწყობა, რომ ის აძლევს კაცს გონებრივ განვითარებას, ფიზიკურ ჯანმრთელობას და კულტურულ გასართობს.

კოლექტიურ მეურნეობაში გლეხი - ქალი უფრო ჩქარა შესძლებს კულტურულ მშენებლად გახდეს

კოლმეურნეობაში სწარმოებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. გლეხ - ქალს აქ უფრო მალე შეუძლია გახდეს წერა-კითხვის მცოდნე და თავისი მეურნეობისა და თავისი ცხოვრების შეგნებული მშენებელი. უმთავრეს შემთხვევებში კოლმეურნეობებში მოწყობილი არიან კლუბები, კლუბებთან კი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, სხვადასხვა წრეები, კურსები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და სხვ. ასე, ლენინის სახელობის (ტამბოვის გუბ.) კომუნაში მოწყობილია კლუბი. სადაც მუშაობენ შემდეგი წრეები: დრამატიული, სასროული, პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, გარდა ამისა არის სტაციონალური სკოლა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, მცირე მცოდნეთა საღამოს კურსები, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რევოლიუციონერ უფლების დღეებში კომუნა აწყობს კრებებს, სდგამს წარმოდგენებს, კინო-სურათებს და სხვ. ქალები ჩაბმული არიან კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყველა დარგებში. ბევრი კოშუნარი ქალი იწერს სახლში გაზეთს, დაინტერესებულია სხვადასხვა ჟურნალებით.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობის წევრი ქალები კულტურული და პოლიტიკური შეგნებით უფრო მაღლა დგანან. ვიდრე უბრალო გლეხი-ქალი.

იმათ ესმით კოლექტიური ცხოვრებისა და კოლექტიური შრომის უპირატესობა. კოლმეურნეობის წევრ - ქალს შეთვისებული აქვს პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში, დაინტერესებულია მეცნიერებითა და ტექნიკით.

კოლმეურნეობაში გლეხი-ქალისათვის უფრო ხელმისაწვდომია თავის მეურნეობის მშენებლობაში მონაწილეობა. აქ მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობაში, სარევიზიო კომისიაში და ამნაირად შეგნებულად და აქტიურად დაეხმაროს თავის მეურნეობას.

ამჟამად ქალები ჩაბმული არიან კოლმეურნეობის გამგეობების, საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების მუშაობაში. 1926 წლის 1 ოქტომბრისთვის მთელ საბჭოთა კავშირში ქალები გამგეობის. ან საბჭოების წევრებად ითვლებოდენ: კომუნებში — 13.2 პროც., არტელებში— 2.7 პროც., ამხანაგობებში — 2,9 პროც. სარევიზიო კომისიებში წევრებად ქალები ირიცხებოდენ: კომუნებში— 16.2 პროც., არტელებში — 7,4 პროც., ამხანაგობებში— 5,8 პროც.

კოლმეურნეობების მართვა-გამგეობის ორგანოებში ქალების მონაწილეობა თანდათან მატულობს. თუ 1926—27 წ. ქალების რიცხვი ითვლებოდა გამგეობებში — 4.9 პროც., და სარევიზიო კომისიებში — 7,3 პროც., 1927—28 წელში ეს რიცხვი ავიდა პირველში 8,5 პროცენტამდი, და მეორეში 7,7 პროცენტამდი.

ზოგიერთ რაიონებში წამოწეულ ქალთა რიცხვი მართვა-გამგეობის ორგანოებში კიდევ უფრო ჩქარა იზრდება და თვალსაჩინო დონემდე აღწევს. ასე, ირკუტსკის ოლქში გამგეობისა და საბჭოების შემადგენლობაში იყო 13,3 პროც., ახლა ეს რიცხვი 19.9 პროც.-დი ავიდა. პაკოვსკის გუბერნიაში გამგეობისა და სარევიზიო კომისიებში ქალთა რიცხვი შეადგენს 20.6 პროც.-ს.

მართვა-გამგეობის ორგანოში შემავალი კოლმეურნეობის წევრი ქალები განსაზღვრულ სამუშაოს აწარმო-

ებენ. ბოლშევიკური რაიონში თვითეულ კომუნიდან საბჭოში ამორჩეულია თითო გლეხი - ქალი. მათ დაკისრებული აქვთ მოაწყონ საქონლის კულტურული მოვლა. გარდა ამისა ისინი თვალყურს ადევნებენ, რომ კომუნარმა - ქალმა მშობიარობისა და ბავშვების აღზრდის დროს რჩევისთვის მიმართონ ექიმს და არა ექიმბაბ ქალებს.

კოლმეურნეობაში გლეხ-ქალს შეუძლია გახდეს კვალიფიციური მუშაკი. დღეს სოფელში დიდი მოთხოვნილებაა კვალიფიციურ მომუშავეებზე. სოფელს სჭირდება ბავშვების აღმზრდელები, აგრონომები, ექიმები, ბეითლები, ტრაქტორისტები, სპეციალისტები მეურნეობის სხვადასხვა დარგში: მეფუტკრეები, მექათმეები, მელორეები და სხვ. ახალგაზრდა გლეხი-ქალები უნდა ცდილობდენ მიიღონ განათლება და სასარგებლო მომუშაკეები გაადენ სოფლისა და მისი მეურნეობის განვითარებისთვის. საჭიროა კურსებზე, სასოფლო-სამეურნეო წრეებში, სასოფლო-სამეურნეო სკოლებში, ტექნიკუმებში, და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში შესვლა. საჭიროა, რომ გლეხმა ქალმა შეისწავლოს მეურნეობის სწორი და კულტურული გაძღოლა.

ყველაფერ ამას გლეხი-ქალი, უფრო ადვილად მიაღწევს კოლმეურნეობის საშუალებით, რადგან სკოლებში და კურსებზე პირველ რიგში ღებულობენ იმ ამხანაგებს, რომლებსაც კოლმეურნეობანი აგზავნიან.

გლეხი ქალისგან ხშირად გაიგონებთ საყვედურს, რომ მასიერი მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მუშაობაში, წავიდეს კრებაზე, სურს შევიდეს კომკავშირში, პარტიაში, იმუშაოს საბჭოს სასოფლო-სამეურნეო სექციაში, მაგრამ ის დატვირთულია შინაური საქმეებით, რისთვისაც მას საშუალება არ აქვს გააკეთოს ყველაფერი ეს.

კოლმეურნეობებში, სადაც დიდი კულტურული მუშაობა სწარმოებს და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა ხდება, გლეხი-ქალისთვის უფრო მეტი შესაძლებლობაა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ მუშაობაში, შევიდეს

პარტიაში, კომკავშირში, იმუშაოს საბჭოს ორგანოებში. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობით, გლეხი-ქალი საზოგადოების დამოუკიდებელ წევრად ხდება და თავისი მუშაობით დიდი სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსთვის.

კოლმეურნეობების წევრი-ქალები უფრო აქტიური ხდებიან საზოგადოებრივ მუშაობაში. ნოვოსიბირის ოლქში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვაში. — კოლმეურნეობის საბჭოს ანგარიშის გარჩევაში, შრომის შეფასებაში და სხვ. — მამაკაცებიდან კამათში გამოვიდა 62 პროც., დედაკაცებიდან კი — 38 პროც. ირკუტსკის ოლქში გადარჩევებზე გამოცხადდენ მამაკაცები — 62,4 პროც., დედაკაცები კი — 37,6 პროც. კამათში გამოსულებში ქალები შეადგენდენ 31,6 პროც., მაშინ, როდესაც გასულ წელს ისინი მხოლოდ 14 პროც.-დის აღწევდენ.

კოლმეურნეობის წევრ-ქალს მეტი შესაძლებლობა აქვს დელეგატად გავიდეს, და მაშასადამე, გამოარკვიოს კოლმეურნეობების ყველა წევრ-ქალთა საჭიროებანი და მიიღოს ზომები მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. კოლმეურნეობის წევრ-ქალს დელეგატ-ქალთა კრებაზე შეუძლია რჩევა-დარიგება მიიღოს იმის შესახებ, თუ როგორ აღზარდოს ბავშვები, როგორ მოუაროს ძუძუმწოვარ ბავშს, როგორ მოაწყოს ბაგა, საბავშო სახლი, სკოლა, როგორ მიაღებიოს ქალაქში საშუალო სპეციალურ სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში მოზრდილი ბავშები. კოლმეურნეობის წევრი ქალი დელეგატ-ქალთა კრებაზე გაიგებს, თუ როგორ შეისწავლოს ჩქარა წერა-კითხვა, თავისი მეურნეობის კულტურულად მოვლა, კლუბის მოწყობა, რომელი ჟურნალები, გაზეთები და წიგნები გამოიწეროს, იკითხოს და სხვ.

კოლმეურნეობის წევრი ქალი უფრო ჩქარა ვითარდება, უფრო კულტურული ხდება და დანარჩენ შეუკავშირებელ გლეხ-ქალთა მასებისთვის ბევრ შემთხვევაში მაგალითი ხდება. კომუნა „ცხოვრების ცისკარის“

(სტროსტინის რაიონი) გარშემო მცხოვრები მოსახლეობა პირველ წლებში ემიჯნებოდა კომუნას, კომუნარები „ანტიქრისტეთ" მიაჩნდათ. ახლა კი დიდებიც და ბავშვებიც ხშირად დადიან კომუნაში და ბევრ რამეშიც ჰბაძავენ მათ. კირსანოვის რაიონში ლენინის სახელობის კომუნის გარშემო მცხოვრები მოსახლეობა ჰბაძავს კომუნას მეურნეობის კულტურულად მოვლაში. იქ 213 კომლით დასახლებული ახალშენი გადავიდა მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე. მეორე სოფელში მოეწყო კომუნა 8 კომლისაგან. გასულ წელს კომუნამ კრედიტში დაუხნა მიწა ღარიბებს. გასული თესვის კამპანიის დროს, კომუნა გლეხებს ჩვეულებრივ თესლზე უცვლიდა ქართოფილის წმინდა ხარისხიან თესლს, მუშაობდა გასაქირავებელი პუნქტი, ხდებოდა თესლის გადახარისხება და გაწამვლა, ბოსტნისათვის იყიდებოდა ნერგი, დახმარებას უჩენდენ საქონლის ჯიშის გაუმჯობესებაში.

ამასვე ვხედავთ ჩვენ მეორე ადგილასაც, ვოლგიჩეის გუბერნიაში. იქ არსებობს სასოფლო-სამეურნეო არტელი „ახალი ცხოვრება". პირველ ხანებში ამ არტელს სოფელ კრასნოპოლის მცხოვრებნი ძლიერ მტრულად ეპყრობოდენ. სოფლის ახალგაზრდობა დასცინოდა არტელის ღატაკურ ცხოვრებას. მაგრამ არტელის მეურნეობის გაუმჯობესებასთან და მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად თანდათან იცვლებოდა გლეხების მისდამი დამოკიდებულება. ისინი შორიდან ადევნებდენ კომუნას თვალყურს და შემდეგ კი დახმარების გაწევაც კი დაუწყეს: მაგალითად, დაეხმარენ სკოლის შენობის გადატანაში. არტელი ახლა გარშემო მცხოვრებ მოსახლეობისთვის კულტურული ცენტრია. არტელს ხშირად მიმართავენ გლეხები შიილონ მათი ბავშვები სკოლაში, მიუხედავად იმისა, რომ სოფელს ორი საკუთარი სკოლა აქვს. ხელმოკლე მცხოვრებნი არტელისგან დაბალ ფასებში ქირაობენ ინვენტარს, იძენენ გაუმჯობესებულ თესლს. არტელი სცემს „ცოცხალ გაზეთს" და სხვ. ახლო-მახლო მცხოვრებ მოსახლეობაში.

მუშაობა სწარმოებს სკოლის, კლუბებისა და არტელის სხვა კულტურული დაწესებულებების საშუალებით.

ამნაირად, კოლმეურნეობაში შესვლით გლეხი-ქალი ხდება სოფლის მოწინავე რიგად. ის მაგალითია სხვებისთვის. კოლმეურნეობის წევრი გლეხი-ქალი პირველი თელავს იმ გზას, რომელსაც მივყავართ გლეხი-ქალის ცხოვრების გაუმჯობესებისკენ სოფლად.

კოლექტიური მეურნეობების მშენებლობაში გლეხი-ქალი მარტო არ არის, მას ეხმარება საბჭოთა ხელისუფლება

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ კოლმეურნეობაში გაერთიანებით, საერთო ძალით, გლეხი-ქალსთვის უფრო ადვილია მეურნეობის აღდგენა, მისი შემოსავლიანობის გადიდება და გაუჭირვებლად ცხოვრება. სახელმწიფოსთვისაც უფრო იოლია დახმარების გაწევა მსხვილი კოლმეურნეობისთვის, რომელიც აერთიანებს ბევრ წვრილ მეურნეობებს, ვიდრე ცალკე თითეულ წვრილი მეურნეობებისთვის. საბჭოთა ხელისუფლება მაინც მფარველობს ინდივიდუალურ წვრილ და საშუალო მეურნეობებს, უჩენს მათ აგრონომიულ დახმარებას, ღარიბ მეურნეობებს ანთავისუფლებს სას.-სამეურნეო გადასახადისგან, აძლევს სესხს და სხვ. მაგრამ ასეთი დახმარება ნაკლებ შედეგს იძლევა, ვიდრე კოლმეურნეობისთვის დახმარების გაწევა. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება პირველ რიგში დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს, როგორც უფრო კულტურულ მეურნეობებსა და მოწინავე ძალას სოციალიზმის მშენებლობაში.

კოლმეურნეობები შელავათით სარგებლობენ სას.-სამეურნეო გადასახადის გადახდაში. თუ **კომუნაში ან** არტელში თითო სულზე შემოსავალი არ აღემატება 30 მანეთს, ისინი სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

თუ შემოსავალი თითო სულზე საშუალოდ არ აღემატება მაზრაში ან რაიონში მყოფ ყველა კერძო მეურნეობების შემოსავალს თითო სულზე. ასეთ კომუნას შეღავათი ეძლევა 60 პროც.-ის რაოდენობით, არტელს კი— 40 პროცენტი.

თუ კომუნაში ან არტელში თითო სულზე მეტი შემოსავალია, ვიდრე საშუალოდ მაზრაში, ან რაიონში მყოფ ყველა ინდივიდუალურ მეურნეობებში თითო სულზე. ამ შემთხვევაში გადასახადი გამოიანგარიშება ბლიბური მეურნეობის საშუალო შემოსავლის მიხედვით შეღავათით: კომუნისთვის—30 პროც.-ით, არტელისთვის --- 25 პროც.-ით.

რაც შეეხება ამხანაგობებს, ამ წელიწადში შეღავათები მიეცემათ არა მარტო იმათ, რომლებიც განსაზოგადოებული მიწების დამუშავებას აწარმოებენ, არამედ სხვებსაც.

ამხანაგობებისთვის დაწესებულია შემდეგი შეღავათი: შემოსავლის საერთო თანხებიდან გამოიჩიცხება და გადასახადი არ დაიწერება შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც ამხანაგობაში რჩება და მის წევრებს შორის არ იყოფა.[1])

კოლმეურნეობები გაძლიერებულ საკრედიტო დახმარებას იღებენ. კოლმეურნეობებისთვის სესხის მიცემის გასაუმჯობესებლად შექმნილია სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების გრძელვადიანი კრედიტების ფონდი არა ნაკლები 2 მილიონი მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა. კრედიტების განაწილების დროს გვალვასთან საბრძოლველად და სხვა სპეციალურ ღონისძიებათა გატარების დროს მიწათმოქმედების ორგანოები კოლმეურნეობებს იზიდავენ ამ ღონისძიებათა გასატარებლად.

გეგმის შედგენის დროს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მომარაგებისა და მათი კრედიტების მიცემის შესა-

---

[1]) მასალები ამოღებულია მ. ოსიპოვის ბროშურიდან „ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი". 1929 წ.

ხებ, პირველ რიგში უზრუნველყოფილი არიან კოლექ-ტიურ მეურნეობები.

კოლმეურნეობებში ჩქარა ტარდება მიწათმოწყობა. ახლად დაარსებული კოლმეურნეობები შედიან ყოველ-წლიური მიწათმოწყობის გეგმაში. ამასთანავე კოლმეურ-ნეობაში მიწათმოწყობა ტარდება უფასოდ, მიწსახკომის ხარჯზე.

კოლმეურნეობები შელავათით სარგებლობენ მიწით უზრუნველყოფის მხრით. მთავრობამ გადასწყვიტა გა-დასცეს კოლმეურნეობებს ის მიწები, რომლებიც წინად იჯარით იცემოდა სახელმწიფო ქონებიდან. კოლმეურ-ნეობებს მუქთად გადაეცათ მათ სრულ განკარგულება-ში სახელმწიფო ორგანოებისგან წინად მიღებული ქო-ნება (ინვენტარი, შენობები და სხვ.). მიღებულია ზომე-ბი ახლად დაარსებული კოლმეურნეობათათვის მიწების გამოყოფვის შესამსუბუქებლად.

კოლმეურნეობებს აგრეთვე უპირატესობა აქვთ ტყის ფონდით სარგებლობის დარგში. კოლმეურნეობები სა-ხელმწიფო სატყეო ფონდით ისე სარგებლობენ, როგორც ულარიბესი გლეხები. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე-ებით სარგებლობაში კი ისინი გათანასწორებული არიან მიწის კომისიებიდან.

კოლმეურნეობებს პირველ რიგში აწვდიან აგრო-ნომიულ და საბეითლო დახმარებას. მთავრობა ინახავს სპეციალურ შტატს აგრონომებისას, რომლებიც განსა-კუთრებით კოლმეურნეობებს ეხმარებიან მეურნეობის სწორად მოწყობაში. კოლმეურნეობების წევრებს უფლე-ბა ეძლევათ პირველ რიგში შევიდენ სას.-სამეურნეო კურსებზე, მონაწილეობა მიიღონ სას.-სამეურნეო გამო-ფენებში, ჩაეწერონ სას.-სამეურნეო წრეში, სოფლის საბ-ჭოს და აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო სექციაში, მო-ნაწილეობა მიიღონ ექსკურსიებში და სხვ.

გარდა ამისა სოფლის მთელი საზოგადოებრივობა და ისეთი ორგანიზაციები, როგორც მიწათმოქმედების, სახალხო განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებე-

ბი, პოლიტგანათლება და სხვ. პირველ რიგში ყოველთვის კოლმეურნეობებს უწევენ დახმარებას. ზევითნათქვამიდან აშკარაა, რომ კოლმეურნეობები მარტონი არ არიან კოლტურული და შემოსავლიანი სოფლის მეურნეობის აშენებლობის მძიმე პირობებში. საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება მათ ახალი უკეთესი ცხოვრების მოწყობაში.

საბჭოთა მთავრობა ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს როგორც ინდივიდუალურ, ღარიბ და საშუალო მეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებას, აგრეთვე განსაკუთრებით კოლმეურნეობებში, საკავშირო ცაკის მე-4 სესიამ დაადგინა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ხუთწლედის ბოლოს მიაღწიოს მოსავლიანობის გადიდებას 60 პროც.-დი, სოფლის მეურნეობაში კი მთლიანად არა ნაკლებ 30—35 პროც.-სა.

ამ საყურადღებო და ძნელი ამოცანის განსახორციელებლად მთავრობა წინადადებას იძლევა პირველ რიგში გატარებული იქნას უფრო ხელმისაწვდომი და უმარტივესი ღონისძიებანი, როგორც: გაწმენდილ-გახარისხებული თესლით თესვა, მწკრივში თესვა, საზღვრების წაშლა, მავნებლებთან ბრძოლა, ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესება. ჩასუქისთვის ნაკელის სწორად გამოყენება, გლეხური მეურნეობებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინვენტარის გასაქირავებელი პუნქტებისა და სარემონტო სახელოსნოების რაც შეიძლება სრული გამოყენება, მინერალური სასუქების შემოღება და სხვ.

ამ ღონისძიებების ცხოვრებაში წარმატებით გატარების მიზნით საკავშირო ცაკის მე-4 სესია წინადადებას იძლევა:

1) გაძლიერებულ იქნას მიწათმოქმედების ორგანოებმა, ალმასკომების, სოფლის საბჭოებისა და სას.-საშეურნეო კოოპერაციის მუშაობა;

2) უფრო სრულად და უფრო სწორად იქნენ გამოყენებული ის საშუალებანი, რომელთაც მთავრობისა და

კოოპერატიული ორგანოები სოფლის მეურნეობაში აბანდებენ, და ის საშუალებანი, რომელნიც არიან თვით გლეხურ მეურნეობაში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობაში;

3) უფრო სრულად იქნენ გამოყენებული საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, როგორც ცენტრი, ღარიბი და საშუალო გლეხობის აგრონომიული და საწარმოო ორგანიზაციისა;

4) ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული გლეხური მასები აგრიკულტურულ მუშაობაში, ამაში ღარიბი და საშუალო მეურნეობების მატერიალური დაინტერესების საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობა არა მარტო დავალებებს იძლევა, მოსავლიანობის გასადიდებლად, არამედ კიდევაც ზრუნავს იმაზე, რომ ეს დავალებები გატარებული იქნენ ცხოვრებაში. ამისთვის მთავრობის წინადადებით გატარებული უნდა იქნენ მთელი რიგი ღონისძიებები: გადიდებული უნდა იქნეს გახარისხებული თესლის ფონდი, მოეწყოს თესლის გაწმენდა და გადარჩევა, უზრუნველყოფილი იქნას გლეხური მეურნეობა გასაქირავებელი პუნქტებით, სარემონტო სახელოსნოებით, სრულად იქნეს გამოყენებული ტრაქტორი სოფლის მეურნეობაში, გაძლიერებული იქნას მინერალური სასუქების წარმოება და მითი გლეხობის მომარაგება, დაჩქარებული იქნას მიწათმოწყობა, გაძლიერებული იქნას კოლმეურნეობათა მშენებლობა, კონტრაქტაცია გამოყენებული იქნას სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების აწევის მიზნით, გაუმჯობესდეს აგრონომიული დახმარების საქმე, ყურადღება მიექცეს გლეხთა ფართო მასებში აგრონომიული ცოდნის გავრცელებას და სხვ.

მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე მთავრობის დადგენილების თანახმად მარტო მიწათმოქმედების ორგანოები კი არ უნდა მუშაობდენ. ამ ამოცანებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მრეწველობამაც, რომელმაც უნდა დააშზადოს რაც შეიძლება მეტი მინე-

რალური სასუქები, სას.-სამეურნეო მანქანები და მაგ-ნეტლებთან ბრძოლის საშუალებები; სასოფლო-სამეურ-ნეო კოოპერაციამაც, რომელმაც ფართოდ უნდა ჩააბას კოოპერაციაში ღარიბი და საშუალო გლეხობა და გააუმ-ჯობესოს კოოპერატიული ორგანოების მუშაობა, ხელი შეეწყოს კოოპერაციაში ჩაბმული მასების მხრით თვით-მოქმედების, კონტროლისა და თვიკრიტიკის ფართოდ გაშლას.

იმ ღონისძიებების ცხოვრებაში უფრო წარმატებით გასატარებლად, რომელნიც მოსავლიანობის გადიდებას ეხებიან, მთავრობამ ახალი საშუალებები დააწესა ამა თუ იმ გაუმჯობესებების გასატარებლად. წინად სოფლის მეურნეობაში არ შეიძლებოდა რაიმე გაუმჯობესების შეტანა, თუ ამის თანახმა მთელი საზოგადოება არ იყო. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებოდით იმას, რომ გლეხობის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ახლა კი, საკავშირო ცაკის მე-4 სესიის დადგენილებით საკმაოა ხმის უბრალო უმ-რავლესობის მიღება, რომ ესა თუ ის გაუმჯობესება გა-ტარდეს. ამ დადგენილების მიზანია გლეხობის ჩამორჩე-ნილ ნაწილს აღუძრას სურვილი მიწის დამუშავების უფრო კულტურულ საშუალებებზე გადავიდეს. ასეთი დადგენილებები, რომ მართლაც გატარდენ ცხოვრებაში, საჭიროა წინასწარ დაწვრილებით იქნას განხილული, — რა საშეცალებანი და შესაძლებლობანი გვაქვს ამისთვის.

მთავრობა თავის დადგენილებაში მოსავლიანობის გადიდების შესახებ სერიოზულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და გლეხობის ფართო მასებმა უაქტიურესი მონაწილეობა მი-იღონ ამ დიდ საქმეში.

თავის თავად ცხადია, რომ ზევით ნაჩვენები ღონისძიებები მოსავლიანობის გადიდების შესახებ პირველად ყოვ-ლისა უნდა გაატარონ კოლმეურნეობებმა, როგორც ყვე-ლაზე უფრო კულტურულმა და მოწინავე მეურნეობებმა სოფლად.

როგორ შევკავშირდეთ კოლმეურნეობებში

რომელ კოლექტიურ მეურნეობაში უნდა შევიდეს გლეხი-ქალი

კოლმეურნეობები სხვადასხვა სახის არიან. კოლმეურნეობის უმარტივესი სახეა — სამანქანო ამხანაგობა ან ამხანაგობა მიწის საერთოდ დასამუშავებლად. კოლმეურნეობის უფრო რთული სახეა—არტელი და კომუნა.

ულარიბესი გლეხობა და მცირე ქონების მეურნეობები ჩვეულებრივად კომუნებში შედიან, სადაც მთელი მეურნეობა საზოგადოებრივი გზით მიდის. კომუნაში წარმოების ყველა საშუალებები საერთო (ცხენები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები) მემინდვრეობის პროდუქტების მოსავლის აკრეფის შემდეგ საზოგადო ბეღლებში ინახება. საქონელი იმყოფება საერთო სამწყვდევში. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მეურნეობაში კომუნის ყველა წევრები ასრულებენ. სათავეში სდგას რწმუნებული ან გამგეობა, რომელიც ხელმძღვანელობს მუშაობას. კომუნის დანარჩენი წევრები კი ერთმანეთში ანაწილებენ მთელ სამუშაოს. ზოგს ავალებენ საქონლის სამწყვდევის გამგეობას, ზოგს სალორესი, ზოგს ხბოების, ზოგს მანქანების საწყობი ზედამხედველობა, ზოგს აძლევენ გარეგს მინდორში, ბაღში, ბოსტანში და სხვ. სეზონო მუშაობაზე: როგორც წესი კომუნას უნდა ჰქონდეს საზოგადო სასადილო, საერთო საცხოვრებელი სახლი ბინებით ცალკე ოჯახებისთვის, ბავშვების საერთო აღზრდა და სხვ.

არტელში კი საერთო სარგებლობაშია მხოლოდ საწარმოო ძალთა საშუალებები: საწევი ძალა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები და სხვ. არტელებში განსაზოგადოებულია მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის ნაწილი, ყოფა-ცხოვრება კი—სახლი, კვება, ბავშვების აღზრდა სხვ. შეიძლება არ იქნეს განსაზოგადოებული.

მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობები — ეს უმარტივესი კოლმეურნეობებია, რომლებშიც სავალდებულო უნდა იქნეს მიწის ნაწილის, საერთოდ დამუშავება მაინც, დანარჩენი ყველაფერი შეიძლება ისე დარჩეს, როგორც ინდივიდუალურ მეურნეობაში.

და, ბოლოს, სამანქანო ამხანაგობები, — რომლებიც გაერთიანებულია რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები (ტრაქტორების და სხვ.) საერთოდ გამოსაყენებლად. აქ შეიძლება ყველა საერთო მანქანებიც არ იქნენ, აიამენ რომელიმე ერთი (მაგალითად, ტრაქტორი და სხვ.).

ყველაზე უფრო იოლია კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაცია მისი უმარტივესი ფორმიდან. მაგალითად, სამანქანო ამხანაგობიდან ან მიწის საერთო დამამუშავებელ ამხანაგობიდან. ძით უმეტეს ეს ასე უნდა ვქნათ, თუ ახლად მოწყობილი კოლმეურნეობის წევრები არ არიან შეჩვეული კოლექტიურ შრომას, ან ისინი მაგრად არ არიან დარწმუნებული ამ კოლმეურნეობის წევრების შეკავშირებაში. კიდევ იმიტომ, არის უკეთესი დაიწყოთ კოლმეურნეობის უმარტივესი ფორმიდან, რომ კოლმეურნეობის წევრები შეეჩვევიან კოლექტიურ შრომას და შემდეგ უფრო რწმენითა და საფუძვლიანად მოკიდებენ ხელს კოლმეურნეობას. რასაკვირველია, აქედან არ ეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ კოლმეურნეობის უმარტივესი ფორმა უკეთესია, ვიდრე რთული (სას.-სამეურნეო არტელი, კომუნა). აქედან არ გამომდინარეობს აგრეთვე ის დასკვნა, რომ მუდამ უმარტივეს კოლექტიურ მეურნეობად დარჩენა სჯობია. პირიქით, რამდენად რთულია კოლმეურნეობა, იმდენად სასოფლო-მეურნეობის გაძღოლა ადვილია და უფრო იაფიც ჯდება. იქ ყოფა-ცხოვრების პირობები უკეთესია. ეს განსაკუთრებით უნდა დაიმახსოვროს გლეხის ქალმა, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია კარგად მოწყობილი საერთო საცხოვრებლით, სასადილოთი, საბავშვო ბაღჩისა და საბავშვო ბალების მოწყობით. ამის გაკეთე-

ბა კი იმდენად უფრო მალე და ჩქარა შეიძლება, რამდენად უფრო რთულია კოლმეურნეობის ფორმა.

მაშასადამე, მარტივი კოლმეურნეობის მოწყობის შემდეგ გლეხი-ქალი უნდა ცდილობდეს თანდათან განაგრძოს საზოგადოეს თავისი მეურნეობა. თუ პირველ წელიწადს საერთო ძალით მოიხნა დასახნავი მიწების მხოლოდ ნახევარი, შემდეგ წელში უნდა ვეცადოთ, რომ საერთო ძალით ყველა მიწები მოიხნას. მესამე წელს კი უნდა ავაშენოთ საერთო თავლა, საზოგადო ბეღელი, საქონლის სამწყვდევი. შემდეგ კი უნდა დაისვას საკითხი საერთო სახლის აშენების შესახებ, საერთო სასადილოს და სხვ. ასე თანდათანობით, მოფიქრებულად, მოსაზრებულად შენდება კოლექტიური მეურნეობა, გაუმჯობესდება გლეხი - ქალის მდგომარეობა.

როგორ მოვაწყოთ კოლექტიური მეურნეობა

გლეხი-ქალი, რომელიც გაჭირვებაში ცხოვრობს, ხშირად მოინდომებს ხოლმე კოლმეურნეობაში შესვლას, კოლექტიურად მუშაობასა და ცხოვრებას, მაგრამ მან არ იცის, როგორ მოახერხოს ეს, საიდან დაიწყოს. ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ შიში და უკან დახევაც არ არის საჭირო

კოლმეურნეობის მოწყობა შეუძლია ყოველ გაგებულ, მეურნეობაში გამოცდილ გლეხ-ქალს. ამ საქმეში პირველად ყოვლისა უნდა ჩავაბათ ახლოს მყოფი სოფლის საზოგადოებრივი და კულტურული ძალები. ისინი შეეხმარებიან გლეხ-ქალს კოლმეურნეობის მოწყობაში და მუშაობის თავის დონეზე დაყენებაში.

დიდ დასმარებას გაუწევს გლეხ-ქალს აგრეთვე კოლმეურნეობის მოწყობაში ქალთა სადელეგატო კრება. დელეგატ-ქალთა კრების საშუალებით გლეხ-ქალს ბევრი რამის შეძენა შეუძლია კოლმეურნეობის მოწყობის საქმეში, გამოარკვევს მისთვის გაუგებარ საკითხებს, მოემზადება კოლექტიური მიწათმოქმედებისათვის. ჩვენ

ბევრი მაგალითები გვაქვს იმის, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში დელეგატი - ქალები კარგად მომუშავე კოლმეურნეობების პირველი ორგანიზატორები არიან.

მაგალითად, ამხ. კოსტენეკა სოფ. მედვედეცკოეს (სტავროპოლის გუბ.) კომუნის თავმჯდომარეა. ამხ. მეჩსუდავა — მიწის საერთო დამმუშავებელ ამხ.-ბის თავმჯდომარეა თათართა რესპუბლიკაში, სონია ბიიტოვი კარლ მარქსის კომუნის თავმჯდომარეა ბელორუსიაში და სხვ.

პირველად აუცილებლად უნდა ინახულო აგრონომი, გაეცნო ლიტერატურას კოლექტიურ მეურნეობაზე, კოლმეურნეობის წესდებას. აგრონომთან საჭიროა გამორკვეულ იქნას რით შეუძლია მას მონაწილეობა მიიღოს კოლმეურნეობის ორგანიზაციაში და როგორ უხელმძღვანელებს ამ საქმეს. შემდეგ კოლმეურნეობის მოსაწყობათ ჩაბმული უნდა იქნეს უახლოესი საბჭოთა მეურნეობის. საჭიროა სადგურის აგრონომი. მიწათმოქმედი, მასწავლებელი. ყველა ამ მომუშავეებს შეუძლიათ და კიდეეც უნდა დაეხმარონ ვლეხ-ქალს ძნელ და პასუხისმგებელ საქმეში, კოლმეურნეობის მოწყობაში.

როდესაც კოლმეურნეობის ორგანიზატორი გლეხი ქალი დაუკავშირდება დელეგატ ქალთა კრებას, დაეკითხება აგრონომს. გაიგებს მისგან. თუ რამდენად ხელსაყრელია კოლმეურნეობის მოწყობა და როგორ უნდა გაკეთდეს ეს. მაშინ მან უნდა დაიწყოს ამ საქმის ირგვლივ სხვა მეურნეობების შემოკრებაც.

ვინ უნდა შევიყვანოთ კოლმეურნეობის წევრად?

ქონებრივი მდგომარეობით კოლმეურნეობის შემადგენლობა ცოტად თუ ბევრად ერთნაირი უნდა იყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლმეურნეობა ვერ იქნება მაგარი. ამას გვასწავლის ბოლშეისტოკის რაიონის სამანქანო

ამხანაგობის გამოცდილება. ამ ამხანაგობაში ნაწილობრივ შეძლებული გლეხებიც მოხვდენ. სესხის გადახდის დროს ისინი აგიტაციას ეწეოდენ ამხანაგობის გაუქმების სასარგებლოდ, მაგრამ მათ არ დაუჯერეს და ამიტომ ისინი იძულებული გახდენ გასულიყვენ ამხ.-ბიდან. მათ მაგიერად ამხანაგობაში შეიყვანეს ღარიბი გლეხ-ქალები. რასაკვირველია, ამხანაგობა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან მათ ვერ შესძლეს დროზე სესხის დაფარვა.

ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა ბოლშებასაბინის რაიონში. სამანქანო ამხანაგობა აქ შესდგებოდა 12 კაცისაგან: 10 ღარიბი და 2 შეძლებულისგან. გასულ წელს ამხანაგობამ თითეულ წევრზე გამოიმუშავა 30-30 მანეთი. როდესაც საჭირო შეიქნა სახმობის მოსაწყობათ ფული, ეს მდიდრები გამოვიდენ ამხანაგობიდან. ამის შემდეგ ამხანაგობაში აღარ ღებულობდენ შეძლებულებს.

მაშასადამე, კოლმეურნეობებში უნდა გავაერთიანოთ ღარიბი და საშუალო მეურნეობები. ამ შემთხვევაში კოლმეურნეობა ნელ-ნელა, მაგრამ სამაგიეროდ სწორი გზით გაიზრდება და მისი შემადგენლობა ხშირ-ხშირად არ გამოიცვლება. კოლმეურნეობაში განსაკუთრებით უნდა ჩავაბათ დამოუკიდებელი დიასახლისი ქალები, ღარიბი გლეხი-ქალები და ქვრივები. კოლმეურნეობაში მათი შესვლა შეიძლება შემსუბუქებული პაის შეტანის შეღავათიანი პირობებით ღარიბთა ფონდის ანგარიშზე და პაის შეტანის დროებით.

რომ უზრუნველვყოთ კოლმეურნეობის წევრთა რაც შეიძლება მეტი შეკავშირება, კოლმეურნეობაში უნდა ჩავაბათ სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობის გლეხობზე უფრო მოწინავე ნაწილი.

პირველად ყოვლისა კოლმეურნეობისადმი სასარგებლო განწყობილება უნდა შეიქნეს ცალკე გლეხ-ქალებში. რომლებიც დამოუკიდებლად უძღვებიან თავის მეურნეობას. ისეთ მეურნეობათა რიცხვში, რომლებსაც გლეხ-ქალები უძღვებიან, საკმაო რაოდნობას შეად-

გვს. როგორც ზევით იყო აღნიშნული, 22.406 ათასი გლეხური მეურნეობიდან ასეთ მეურნეობათა რიცხვი შეადგენს 3.149 ათას, ე. ი. 14,5 პროც.-ს. ესენი ქვრივების, ობლებისა და წითელარმიელთა ცოლების მეურნეობებია, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას და სწორად მოწყობას.

ამ უკანასკნელ დროს წმინდა ქალთა კოლმეურნეობებია მოწყობა დაიწყეს. მაგალითად, ბიის ოლქში 22 ქალთა ამხანაგობებია, ჩრდილოეთ კავკასიაში—12, ციმბირში 1928 წ. განზრახული იყო 105 ქალთა კოლმეურნეობის შექმნა, რომელთაც უნდა ეწარმოებიათ სელისა და მატყლის გადამამუშავება. უმეტეს შემთხვევაში ესენიც ღარიბი ქვრივ-ობლების მეურნეობებია, რომლებიც სხვაზე უფრო საჭიროებენ კოლექტივიზაციას. ცალ-ცალკე უფრო ძნელია მათთვის მეურნეობის გაძღოლა, თავისი ინტერესების დაცვა. აი ამიტომ მიდიან ისინი დიდი სიამოვნებით კოლმეურნეობაში.

მაგრამ გლეხ-ქალისთვის საკალდებულო არაა მაინცდამაინც მხოლოდ ქალთა კოლმეურნეობა მოაწყოს. მას შეუძლია კოლმეურნეობის მოწყობა მამაკაცებთან ერთად, რადგან ღარიბ გლეხ-ქალსა და ღარიბ-გლეხკაცს შორის უფრო მეტია საერთო, ვიდრე შეძლებულ გლეხ-ქალსა და ღარიბ გლეხ-ქალს შორის. ამნაირად, იმას არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვისგან შესდგება კოლმეურნეობა (მამაკაცებისგან თუ დედაკაცებისგან), მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დამაარსებელთა ჯგუფი, რომელსაც კოლმეურნეობის მოწყობა უნდა, იყვეს კარგად შეკავშირებული და იდეურად მაგარი, რომ მათ სურვილი ჰქონდეთ ერთად იმუშაონ და კოლექტიური მეურნეობა შექმნან.

სოფლის მოწინავე კულტურულ ფენას შეადგენენ აგრეთვე შვებული წითელარმიელები, ყოფილი სამხედრო ტყვეები. ბევრ მათგანს გავლილი აქვთ სას.-სამეურნეო კურსები, ყოფილან სასოფლო- სამეურნეო გამოფენაზე, მონაწილეობა მიუღიათ ყრილობებსა და კონფერენციებში, სადაც მოუსმენიათ მოხსენებები სოფლის მე-

ურნეობის გაუმჯობესების შესანებ; ზოგიერთებს კი თავისი თვალით უნახავთ, თუ როგორ კულტურულად არის დაყენებული საზღვარგარეთ სოფლის მეურნეობა.

არანაკლები საიმედო მონაწილე სოფლის მეურნეობის მოწყობაში არის ახალგაზრდობა, რომელიც ეტანება კულტურულ ცხოვრებას და ყველაზე უფრო დაინტერესებულია მეურნეობის გაუმჯობესებაში.

სოფლის ამ მოწინავე ფენებიდან შეიძლება აქტივის ჯგუფის შექმნა, რომელიც მოაწყობს კოლმეურნეობას.

კოლმეურნეობის ორგანიზაციის მოსამზადებელი მუშაობა

საკითხი კოლმეურნეობის მოწყობის შესახებ უცბად, მოუმზადებლად არ უნდა გამოვიტანოთ ფართო კრებაზე. უკეთესია ეს საკითხი განხილული იქნას ცალკე ჯგუფში. მას შემდეგ, როდესაც ეს პატარა ჯგუფი კარგად განიხილავს საკითხს კოლმეურნეობის მოწყობის შესახებ, შემდეგ უკვე შეიძლება მისი უფრო ფართო თათბირზე დასმა. მოსამზადებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს აუჩქარებლად. უმჯობესია უფრო დიდხანს გრძელდებოდეს მოსამზადებელი მუშაობა, ვიდრე აჩქარებულად მოეწყოს კოლმეურნეობა და შემდეგ ისევე ბალე დაიშალოს. ამ მოსამზადებელი მუშაობის დროს თვითონ ეულმა პირმა, რომელსაც სერიოზულად აქვს განზრახვა კოლმეურნეობაში შესვლის, საფუძვლიანად უნდა მოიფიქროს და ნათლად წარმოიდგინოს საერთო მეურნეობის ყველა კარგი მხარეები და ყველა სიძნელენი. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განაცხადოს მან თანხმობა კოლმეურნეობაში შესვლაზე. კოლმეურნეობა— ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. თუ არ ხარ დარწმუნებული, რომ გაძლებ კოლმეურნეობაში— არ უნდა შეხვიდე იმაში და სხვას ხელი არ უნდა შეუშალო ახალი საქმის გაკეთებაში.

მას შემდეგ რაც შეიქნება კარგად შეკავშირებული ჯგუფი კოლმეურნეობის წევრებისგან, უნდა გაეცნო კოლმეურნეობის ორგანიზაციის ყველა წესებსა და მის წესდებას. ეს კიდევ ცოტაა. უნდა ინახულო მეზობელი კოლმეურნეობანი, უკეთესი და ჩამორჩენილი, უნდა გაეცნო მათ გამოცდილებას, მიიღო რჩევა-დარიგება კოლმეურნეობის ძველ მშენებლებისგან, რომ არ განიმეორო მათ მიერ ჩადენილი შეცდომები.

როდესაც მოგროვდება კოლმეურნეობაში შესვლის მსურველთა ჯგუფი, მაშინ უნდა შეკრიბო საერთო კრება და დაწვრილებით განიხილო წესდება, შეიტანო იქ თავის მხრით დამატებები, შეუფარდო ოკი ადგილობრივ პირობებსა და წევრების მოთხოვნილებებს. რამდენჯერმე უნდა შეიკრიბო, სანამ საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება წესდება და არ მოეწყობა კოლმეურნეობა.

კოლმეურნეობის მოწყობის დროს არ უნდა აუვეთ კულაკების ბოროტ აგიტაციას. კულაკები ყოველთვის ეწევიან აგიტაციას კოლმეურნეობის წინააღმდეგ. ისინი ყოველთვის აშინებენ იმ ღარიბებს, რომელთაც კოლმეურნეობაში შესვლით თავისი მეურნეობის გამოსწორება უნდათ. ელცოვის რაიონში. მაგალითად, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. იქ მოეწყო სამანქანო ამხანაგობა 15 კაცისაგან. როდესაც ამ ამხანაგობის ჩამოსაყალიბებლად საკრედიტო ამხანაგობამ მოითხოვა ქონების აღწერა, შეძლებულთა გავლენით, ქალები გამოვიდენ ამხანაგობიდან და მარტო 5 კაცი დარჩა. ამაკე რაიონში ქალებმა მოაწყვეს სამანქანო ამხანაგობა. მაგრამ კულაკებმა დააშინეს ისინი, რომ მათ მეტი გადასახადის გადახდა მოუხდებათ. და ამიტომ კომუნა დაიშალა. მთელი თვე შეიქნა საჭირო, რომ ხელახლა მოეყარათ თავი ამ ამხანაგობის წევრთათვის.

კოლმეურნეობის მოწყობის დროს საჭირო რჩევისა და დარიგებისთვის უნდა მიმართოთ რაიონის ან ახლოს

მდებარე კოლმეურნეობის აგრონომს. ის ერთგული და საუკეთესო დამხმარეა ღარიბი და საშუალო გლეხკაცობისა კოლმეურნეობის მშენებლობაში.

კოლმეურნეობის ორგანიზაციის წესი

კოლმეურნეობისთვის საჭიროა არა ნაკლებ 5 კაცისგან შემდგარი დამაარსებელთა ჯგუფი. ისინი მეთაურობენ კოლმეურნეობის მოწყობის საქმეს მანამ, სანამ ეს მეურნეობა აღრიცხულ არ იქნება მიწათმომქედების განყოფილებაში.

დამაარსებლად შეუძლიათ იქნენ ყველა სრულწლოვანი მშრომელნი, რომელნიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში ან და მასთან დაკავშირებულ საწარმოებში და წართმეული არ აქვთ საარჩევნო უფლება. დამაარსებელნი ნათესავურ კავშირში არ უნდა იქნენ ერთმანეთთან (ცოლი და ქმარი, მშობლები და შვილები, ძმები და დები და სხვ.).

კოლმეურნეობის წევრად შეუძლია გახდეს 16 წლის ჰასაკის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც საარჩევნო უფლება არ აქვს ჩამორთმეული.

როცა ჩამოყალიბდება კოლმეურნეობის დამაარსებელთა ჯგუფი და საბოლოოდ გამოირკვევა მისი წევრების რაოდენობა, საჭიროა, რომ კოლმეურნეობა აყვანილი იქნას აღრიცხვაზე სამაზრო ან სარაიონო მიწათმოქმედების განყოფილებაში. უამისოდ კოლმეურნეობა არ იქნება იურიდიული პირი და მას როგორც დამოუკიდებელ ორგანიზაციას ანგარიშს არ გაუწევენ საკრედიტო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ესენი იქნებიან „ველური“ კოლმეურნეობები, მათ არავინ არ გაუწევს დახმარებას. აღრიცხვაზე ასაყვანად კი საჭიროა განცხადების დაწერა რეგისტრაციაში გატარების შესახებ **წესდების გამომუშავება.**

კოლმეურნეობის წესდებაში ნაჩვენები უნდა იყოს:

ა) კოლმეურნეობის სახელწოდება;

ბ) რაიონი, რომელშიც დაარსდა კოლმეურნეობა, და ამ კოლმეურნეობის მოქმედების ადგილი;

გ) კოლმეურნეობის ორგანიზაციის მიზანი, მისი ოპერაციები და მოქმედების ვადა, თუ ის დაარსებულია განსაზღვრული ვადით;

დ) კოლმეურნეობაში წევრების მიღების, კოლმეურნეობიდან გამოსვლის და ჩარიცხვის პირობები;

ე) წევრების პასუხისმგებლობა კოლმეურნეობის ვალდებულებების გამო;

ვ) კაპიტალის შექმნის პირობები და წესები — წესდებით თუ არის გათვალისწინებული კაპიტალის შექმნა;

ზ) პაის და შესასვლელი ფულის რაოდენობა, თუ გათვალისწინებულია პაი და შესასვლელი ფული;

თ) დანარჩენი სავალდებულო შესატანი ფულის რაოდენობის განსაზღვრა;

ი) ანგარიშების შედგენის, რევიზიისა და დამტკიცების დრო და წესი;

კ) მოგებისა და წაგების განაწილების წესი;

ლ) გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და საბჭოს (თუ არსდება უკანასკნელი) რწმუნების სიფართოვე, თვითოეულ ზევით დასახელებულ ორგანოს, წევრთა რიცხვი, მათი ამორჩევის წესი და რწმუნების ვადა;

მ) კოლმეურნეობის ლიკვიდაციის წესი და პირობები;

ნ) წესდების შეცვლის წესი.

წესდებაში შეიძლება სხვა პუნქტების შეტანაც, რომელნიც განსაზღვრავენ ხოლმე კოლმეურნეობის დამოკიდებულებას თავის წევრებთან და მესამე პირებთან. ამ-ბარად დამოწმებული განცხადება და წესდება ხელმოწერილი უნდა იქნეს არა ნაკლებ ხუთი დამაარსებლისა, განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს დანარჩენ დამაარსებელთა სიაც, მათ მიერ ხელმოწერილი. დამაარსებელთა ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყვეს სარაიონო აღმასკომის ან სოფლის საბჭოს მიერ. განცხადებაში რეგისტრაციის შესახებ შეიძლება ნაჩვენები იქნეს ის პირი,

რომელსაც ანდობენ დამაარსებელნი რეგისტრაციის საქმის წარმოებას, განცხადებასთან რეგისტრაციის შესახებ აგრეთვე დართული უნდა იქნეს გარდა ზევით ნაჩვენებ საბუთებისა, წესდების სამი რთნაირი ეკზემპლიარი ხელმოწერილი და შესწორებული სარაიონო აღმასკომის მიერ, და აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის დამაარსებლებს საბჭოში არჩევის უფლება აქვთ.

ამნაირად, სულ ფორმალური მოთხოვნილებების შესრულების შემდგ და მიწათმოქმედების განყოფილების მიერ წესდების დამტკიცების შემდეგ, კოლმეურნეობა ითვლება იურიდიულ პირად და ამ დროიდან იწყებს თავისი მეურნეობის მართვებლობას.

კოლმეურნეობის გამგეობლობა დამყარებული უნდა იყოს თავისებურ ალ თვითმართველობის საფუძველზე. **კოლმეურნეობის მართვა-გამგეობის ორგანოები არიან საერთო კრება და მისი რწმუნებული ან გამგეობა თავისი საკანტროლო ორგანოთი— სარევიზიო კომისიით, რომლებსაც ირჩევს საერთო კრება.**

საერთო კრება შესდგება კოლმეურნეობის ორგანიზაციის ყველა წევრებისგან. ის არის კოლმეურნეობის უმაღლესი ორგანო და განაგებს: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევას; 2) ღებულობს ახალ წევრებს და რიცხავს კოლმეურნეობიდან წევრებს; 3) სწყვეტს საკითხს წესდების შეცვლისა თუ დამატების შესახებ; 4) განიხილავს და აშტკიცებს გამგეობისა და საკონტროლო ორგანიზაციებისთვის ინსტრუქციებს: 5) განსაზღვრავს გამგეობის მიერ სესხის აღების პირობებს; 6) განიხილავს და აშტკიცებს ანგარიშებს, ხარჯთ-აღრიცხვებს და კოლმეურნეობის მოქმედების გეგმებს; 7) ანაწილებს მოგებას და ზარალს; 8) აარსებს სპეციალურ კაპიტალს; 9) სწყვეტს საკითხს. კოლმეურნეობის არსებობის შეწყვეტის შესახებ; 10) სწყვეტს სხვა საკითხებსაც, რომლებიც გამგეობის ფუნქციაში შედიან.

ამნაირად, წესდების დამტკიცების შემდეგ საერთო კრებამ უნდა ამოირჩიოს კოლმეურნეობის **გამგეობა ან რწმუნებული.**

კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობა (ან რწმუნებული) არის აღმასრულებელი ორგანო. კოლმეურნეობის გამგეობა (ან რწმუნებული) წარმომადგენლობს თავის კოლმეურნეობას, განაგებს ყველა მის საქმეებს (სდებს ხელშეკრულებებს, წარადგენს ხოლმე სასამართლო სარჩელს და აგრეთვე უპასუხებს, ატარებს ცალკე განრიგებებს და სხვ.), იცავს კოლმეურნეობის სამეურნეო ინტერესებს, თვალყურს ადევნებს წესდებისა და წესების შესრულებას, რომლებიც დაწესებულია საერთო კრების მიერ, აწარმოებს კოლმეურნეობის წევრების სიას, საპაიო შემოსატანის აღნიშვნით, აღრიცხავს კოლმეურნეობის ქონებას და აწარმოებს მისი ოპერაციების ანგარიშს, საერთო კრებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს თავის მოქმედების შესახებ.

შინა კონტროლის გასატარებლად საერთო კრების მიერ არჩეული უნდა იქნეს **სარევიზიო კომისია,** რომელსაც ევალება: გამგეობის მიერ საერთო კრებისადმი წარსადგენი ანგარიშებისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვა და თავისი დასკვნის გაკეთება, მთელი ქონებისა და კოლმეურნეობის მუშაობის ყველა დარგების ფაქტიური რევიზია.

კოლმეურნეობის მუშაობის სწორი ხელმძღვანელობის მოწყობა— ეს საპასუხისმგებლო ამოცანაა, მას ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. სათანადო ხელმძღვანელი ორგანოების— გამგეობის ან რწმუნებულის და სარევიზიო კომისიის— ამორჩევისგან ბევრია დამოკიდებული კოლმეურნეობის შემდგომ მუშაობაში. კოლმეურნეობის გამგეობაში არჩეული უნდა იქნენ მისი საუკეთესო წევრები. კოლმეურნეობის რწმუნებული ან გამგეობის თავ-

ჭალდომარე თავის დროზე უნდა დაუკავშირდეს ხელმძღვანელ დაწესებულებებს, მათთან ერთად შეადგინოს კოლძეურეობის ორგანიზაციული და საწარმოო გეგმა, უნდა მოაწყოს და სწორად გაანაწილოს შრომა კოლმეურნეობის წევრებს შორის, ჩაუნერგოს მათ ახალი კოლექტიური ყოფა-ცხოვრება და სხვ. ყველა ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს დიდ ჭკუა-გონებასა და გამოცდილებას.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ ერთი ამბავი ნამდვილი ცხოვრებიდან იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყო კოლმეურნეობა ერთმა გლეხ-ქალმა.

როგორ მოაწყო სონია ბრიტოვამ კომუნა

სოფელი გოროდეცკოე გარშემორტყმულია პატარა ტბით. ტბას იქით 84 ჰექტარი მიწაა. თითეული გლეხი, სოფ. გოროდეცკოს მცხოვრები (ისინი 300 კომლი იყვენ), ზედაქტ 5—6 კილომეტრს აკეთებდა, ვიდრე თავის ნაქერ მიწაზე მოხვდებოდა. უფრო გასაჭირში იყვენ ის გლეხი-ქალები, რომლებსაც ხელში ბავშები ეჭირათ და მხარზე აკვანი ჰქონდათ გადადებული. ღრმად ჩაენერგა ხსოვნაში ხუთი წლის სონიას თავისი დედის განაწამები სახე, რომელიც ყანაში მას ხელით ატარებდა, უმცროსს კი აკვნით. ბავშს თავში დაებადა რალაც გაურკვეველი აზრები.

სონია იზრდებოდა. იზრდებოდა და ფართოვდებოდა მშრომელთა უკმაყოფილება. კაპიტალსა და შრომას შორის გამართულ დიდ ბრძოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია, დაიბადა დიდი ოქტომბერი— პროლეტარული რევოლიუცია. ძალა-უფლება თავის ხელში აიღეს მუშებმა ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ერთად. სწარმოებს ახალი ცხოვრების შენება, სოციალიზმის მშენებლობა.

სონია კარლ ლიებნეხტის სახელობის კომუნის პირველ ორგანიზატორთა რიცხვშია. შედის ლენინის პარ-

ტიის რიგებში. მიდის ერთთვიან პარტიულ კურსებზე ქალ. მოგილევში.

პირველი, რაც სონიამ შეიგნო— ეს არის ის, რომ მშრომელი გლეხობის ცხოვრების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ გლეხური წვრილი მეურნეობების გაერთიანებით კოლექტივში.

სონია დროებით მოწყდა კომუნას: გათხოვდა, ორი ბავშის დედა შეიქნა.

რამდენიმე წლის შემდეგ სონია დაბრუნდა თავის სოფელში. გადასწყვიტა დაბრუნებულიყო კომუნაში.

— ვიფიქრე მე—სთქვა სონიამ:— ყველა გლეხებს ვერ დავატევთ ყოფილ მეჩამულეების მიწებზე. უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ გარდავქმნათ ახლად მთელი სოფელი.

ემძიმება სონიას თავისი ამხანაგების მზერა, რომლებიც ძველებურად 5 კილომეტრის მანძილიდან დადიან კუნძულზე.

სონია იყო ქალთა განყოფილების დელეგატი—ქალი და მან შესძლო კუნძულისკენ გზის მონახვა. მან გადასწყვიტა კომუნის დაარსება.

ძნელი საქმეა. ჯერ კიდევ არ შეუგნიათ ყველა ღარიბ გლეხებს, რომ მხოლოდ კოლექტივების საშუალებით ძალლება ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მამაკაცებზე უფრო მეტად დედაკაცები ეწინააღმდეგებოდენ მას კოლმეურნეობის შექმნაში.

სამი წლის განმავლობაში სონია შეუპოვრად მუშაობს კომუნის მოწყობის საქმეზე. 20 ღარიბი ოჯახი უკვე გაერთიანდა. მაგრამ ქალებმა, რომლებსაც კულაკები ახელებდენ, მიალწიეს იმას, რომ ჯგუფი დაიშალა. კულაკები ზეიმობენ, სონიას დასცინიან, მაგრამ ის არ ეცემა სულით. სონია დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს მას გაიგებდენ. ის მოთმინებით შეუდგა ხელახლავ ახალი წევრების შეკრებას. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა ქალთა სადელეგატო კრება.

1926 წ. სონიამ ღარიბ დელეგატ-ქალთა ჯგუფის დახმარებით შესძლო კომუნის შექმნა 14 ღარიბი ოჯახისგან. 14 ოჯახი—75 კაცი. კომუნა უკვე მოწყობილია. უწინ 84 ნაწილად დაყოფილი მიწა ეხლა კომუნას მთლიან სახნავ-სათესს წარმოადგენს. საქონელი, ღორები, ფრინველები, შენობები — საერთოა. დაიწყეს ნამდვილი კოლექტიური ცხოვრება.

კომუნარები ჯერ კიდევ ღარიბი არიან, მაგრამ სულით ძლიერი. აღებული სესხით და საკუთარი გამზდარი ძროხების გაყიდვისგან აღებული ფულით 26 კარგი ძროხა შეიძინეს, 38 ოორკშირის ღორი, 26 ჯიშიანი ცხვარი. დანგრეული გომურების მაგიერად საქონლისათვის ფართო, სინათლიანი სარაია ააგეს. ყველაზე დიდი ქოხი სამზარეულოსთვის და წითელი კუთხისთვის ააშენეს. უფრო ნაკლები — საქონლის საჭმელის მოსახარშავათ.

ცხოვრობენ კომუნარები თანხმობით. უყვართ და აფასებენ თავის კოლექტივს და მის ორგანიზატორს — კომუნის შეუცვალ თავმჯდომარეს — სონია ბრიტოვას. საერთო კრებაზე კომუნარები გამოდიან და ამაყურად უკეთებენ ჯამს თავის მიღწევებს.

ადგილობრივ გლეხს წინად პური მბოლოდ გაზაფხულამდი ყოფნიდა, ახლა კი კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხები უზრუნველყოფილი არიან ახალი მოსავლის აკრეფამდი, და ამას გარდა, ცოტაოდენი ზედმეტიც კი აქვთ გადანახული. 5 კილომეტრის მანძილზე აღარ უხდებათ ბავშვების თრევა.

კომუნარები შეთანხმებულად მუშაობენ და დაბეჯითებით ადგენენ გეგმებს კომუნის გასაძლიერებლად და გასაფართოებლად: ტბების ამოშრობა, სახამებელის ქარხნის აგება, ქალების განთავისუფლება სამზარეულოსაგან. საბავშო ინტერნატის მოწყობა უკვე დღის წესრიგში დგას.

ეჭვი არ არის, რომ ასეთი შემჭიდროებული და შემოქმედებითი მუშაობით, რომლებმაც ხელი შეუწყვეს

შრომის განსაზოგადოებას და ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნას, კომუნარები და კომუნარი ქალები დასძლევენ ყოველგვარ სიძნელეებს, ბავშვებისათვის ისინი ააშენებენ საერთო საცხოვრებელს და მათ გადაიყვანენ კოლექტიურ აღზრდაზე.

ამ სახელოვანმა კოლექტივმა ტყვილად კი არ დაირქვა პროლეტარული რევოლიუციის პირველი დიდი მოძღვრის კარლ მარქსის სახელი. ამ კომუნის გზით უნდა წავიდენ და კიდევაც მიდიან მოჯამაგირეები, ღარიბი გლეხების ფართო მასები და საშუალო გლეხების საუკეთესო ნაწილი. გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია—სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის გზაა. ეს უკვე შეიგნეს ყველაზე უფრო შეგნებულმა გლეხებმა და გლეხ-ქალებმა. დაე მიბაძონ მათ სონია ბრიტოვასა და კარ ლმარქსის სახელობის კომუნის დანარჩენ წევრების სახელოვან მაგალითს.

მეურნეობის მოწყობა კოლმეურნეობაში

კოლმეურნეობის ძირითადი ამოცანები

კოლმეურნეობის მმართველობისა და კონტროლის მოწყობის შემდეგ, უნდა გადავიდეთ თვით მეურნეობაზე, მის კოლექტიურად გარდაქმნაზე. ამჟამად კოლექტიური მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანაა: სოფლის მეურნეობის მაშინიზაცია, სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებლად დამხმარე საწარმოების მოწყობა, შრომის სწორი ორგანიზაცია, კოლმეურნეობის წევრთა კვალიფიკაციის აწევა, შრომის ნაყოფიერების აწევა, გეგმიანობის გაძლიერება კოლმეურნეობის მუშაობაში და მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, კოლმეურნეობების საქონლიანობისა და სპეციალიზაციის განვითარება, მოსახლეობასთან კავშირის გაძლიერება და სხვ.

კოლმეურნეობების მიწათმოწყობა

კოლმეურნეობები უმთავრესად დიდრონ თემებში ეწყობიან, სადაც თითეული მოსახლის მიწა გაფანტულია თემის სხვადასხვა კუთხეში. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ მიწათსარგებლობის პირობებში არავითარ კოლმეურნეობას არ შეუძლია არსებობა. საჭიროა ერთმანეთთან ახლოს ცხოვრება და ერთად მიწების დამუშავება. აი მაშინ მოეწყობა კოლექტიური მუშაობა.

მაშასადამე, კოლმეურნეობის პირველი საქმეა — მიწის მიზომვა ერთ ადგილას, ესე იგი **მიწათმოწყობის გატარება.** აქედან უნდა დაიწყოს მარტივმა კოლმეურნეობამ: მიწის საერთო დამუშავებელმა ამხანაგობამ, თუ სამანქანო ამხანაგობამ. მათი ძირითადი ამოცანაა— მიწის საერთო დამუშავება. მიწის საერთო დამუშავება კი არ შეიძლება, თუ ის სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა უბანშია გაფანტული. საცხოვრებელი სახლები ასეთ ორგანიზაციებში პირველ ხანებში შეიძლება თემებში დარჩენ. ეს მანამ, სანამ საბოლოოდ და საფუძვლიანად ჩამოყალიბდებოდეს ამხანაგობა, ან სანამ ის მოისურვებდეს კოლმეურნეობის მაღალ ფორმაზე გადასვლას—არტელის ან კომუნის წესდებაზე. შეიძლება ერთბაშად გადასახლდეს ახალ უბანში შენობებით, მაგრამ ეს არ არის სავალდებულო მარტივი კოლმეურნეობისთვის. უკეთესია ერთი-ორი წელიწადი მომაგრდე, კარგად თემში და შემდეგ კი გადმოსახლდე.

რაც შეეხება არტელებსა და კომუნებს, ისინი მაშინვე უნდა გადმოსახლდენ, რადგან მათ, გარდა მანქანებისა და მიწის დამუშავებისა, ბევრი სხვა დარგებიც აქვთ განსაზოგადოებული: საერთო ბელლები, მანქანების სარაიები, თავლები, საქონლის სადგომები, საცხოვრებელი შენობები, საერთო კვება, სკოლები და სხვ.

ამნაირად, როდესაც ჩამოყალიბდება კოლმეურნეობა, მან პირველად ყოვლისა განცხადება უნდა შეიტანოს სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილებაში მიწათ-

მოწყობის შესახებ და თანახმად კანონისა, მოითხოვოს, რომ შემდეგი წლის ოპერატიულ გეგმაში შეტანილი იქნეს ამ კოლმეურნეობის მიწათმოწყობა.

მეურნეობის ორგანიზაციული და საწარმოო-გეგმა

მაგრამ მიწათმოწყობა, რაც გამოიხატება მიწის ერთ ადგილას მიზომვაში ან თემიდან გადასახლებაში, კოლექტიურად მეურნეობის მოწყობის მხოლოდ პირველ პირობას ქმნის. ის კი, თუ რა მეურნეობა უფრო ხელსაყრელია აქ—მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, მემებოსტნეობა, თუ სხვა რომელიმე კულტურები უნდა დაითესოს, რა საქონელი უნდა მოშენდეს—ყველა ეს საკითხები ცალკე უნდა გადაწყდეს. ამისთვის აგრონომს უნდა ვთხოვოთ შეადგინოს მეურნეობის ორგანიზაციული-გეგმა.

აქამდი კოლმეურნეობის დაარსების დროს უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ საორგანიზაციო გეგმა არ დგებოდა, კოლმეურნეობები მეურნეობის არა ხელსაყრელ დარგებს კიდებდენ ხელს, ჭარალობდენ, კარ ახურებდენ თავის დროზე სესხის გადახდას, და მეურნეობა კი არ იზრდებოდა, არამედ ეცემოდა.

საორგანიზაციო გეგმის შედგენის დროს აგრონომი, რომელმაც მთელი რაიონი იცის საფუძვლიანად უჩვენებს, რა მიმართულება უნდა მისცეს მეურნეობას კოლმეურნეობამ, როგორ უნდა სწარმოებდეს თესვა, სოფლის მეურნეობის რომელი დარგები უნდა იქნენ საქონლიანი, სად და როგორ უნდა იქნეს გასაღებული ნაწარმოები, რა რაოდენობის სასოფლო - სამეურნეო მანქანები და მუშა-საქონელია საჭირო კოლმეურნეობისათვის, როგორი და რამდენი შენობა უნდა იქნეს აგებული, როგორი სესხია საჭირო, როგორ უნდა მოეწყოს კოლმეურნეობაში შრომა. აი, როდესაც ეს საკითხები იქნებიან კოლმეურნეობისთვის გარკვეული, მაშინ შეიძლება თა-

მამად მოკიდო ხელი მეურნეობას, საფუძვლიანად ჩაება მშენებლობაში და კარგ შედეგებსაც მიიღებ.

მაშასადამე, ახლად დაარსებულ კოლმეურნეობის მეორე ამოცანა—ეს არის ორგანიზაციული გეგმის შედგენა.

ბევრია დამოკიდებული იმისგან, თუ რამდენად მოხერხებულად გავატარებთ ცხოვერბაში დამუშავებულ ორგანიზაციულ გეგმას. ერთ წელიწადში, რასაკვირველია, არ შეიძლება გავატაროთ მეურნეობაში ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც განზრახულია გეგმით. საჭიროა აგრეთვე ყოველი წლისთვის **დგებოდეს საწარმოო გეგმა,** რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს პრაქტიკული ამოცანები საერთო გეგმის განსახორციელებლად

რის მიღწევას უნდა ცდილობდეს კოლმეურნეობის გლეხი ქალი

სიძნელეებს არ უნდა შეუშინდეთ

არის შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი გლეხი-ქალები, შეუგნებლობით თუ მშენებლობის წინაშე შიშით — სტოვებენ კოლმეურნეობას. განა ცოტაა იმის მაგალითები, როცა ქალი ხელს უშლის კოლმეურნეობის მშენებლობას? აი, მაგალითად, სას.-სამ. არტელი „ეთბაში" (ტაგანროგის ოლქში) ამხ. კუკვა ძლიერ დაინტერესებული იყო კოლმეურნეობის მშენებლობით და დიდ სასარგებლო მუშაობას ეწეოდა კოლმეურნეობისთვის. მაგრამ მას სამი წლის განმავლობაში უხდებოდა მწვავე ბრძოლის წარმოება თავისი ცოლის წინააღმდეგ, რომელიც მუდამ აყალმაყალს უტეხდა მას და მოითხოვდა მისგან, რომ კოლმეურნეობა დაეტოვებია. ამხ. კუკვამ ვერ გაუძლო ჩხუბს და ცოლის გავლენით იძულებული შეიქნა თავი დაენებებია კოლმეურნეობისთვის. ახლა ის

ძლიერ ნანობს ამას, რადგან ძლიერ გაჭირვებულია. გამოაკეთა თუ არა ამით თავისი მდგომარეობა ამხ. კუკვას ცოლმა? არა, ვერ გამოაკეთა, პირიქით, ზიანი მიაყენა თავის თავსაც და თავის ოჯახსაც.

მაგრამ კოლმეურნეობის წევრი ქალები ყველა ასეთები როდი არიან, ბევრი მაგალითებია კოლმეურნეობების ცხოვრებიდან ისეთები, რომლებიც ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის წევრ-ქალს ბევრის გაკეთება შეუძლია კოლმეურნეობის გაძლიერებისთვის.

იმავე სას.-სამ. არტელი „ერთობას" წევრმა ამხ. პოლიაკოვმა მცირე ხელფასის გამო გადასწყვიტა გამოვიდეს იქიდან. ცოლი არ გაყვა მას და გადასწყვიტა არტელში დარჩენა. ცოლქმარი დაშორდენ ერთმანეთს. 5 თვის შემდეგ ამხ. პოლიაკოვი იძულებული შეიქნა კვლავ დაბრუნებულიყო კოლმეურნეობაში.

სას.-სამ. არტელში, „წითელი პარტიზანი № 3" (იმავე ტაგანროგის ოლქში) აძეამად მუშაობს ამხ. მეშჩერიაჩიხინის ქალი. ის შევიდა არტელში მიუხედავად კულაკების გამხრწნელი აგიტაციისა და თავისი ორი შვილის წინააღმდეგობისა. აძეამად ის არტელის საბჭოს წევრია. არტელი — ერთი ყველაზე უფრო სამაგალითო მეურნეობათაგანია ოლქში. მეშჩერიაჩიხინის ქალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ახლო-მახლო გლეხებს შორის, რომლებიც უკვე მეორეჯერ ირჩევენ მას მიწის კომისიაში. მან დააჯერა თავისი შვილები შესულიყვენ კოლმეურნეობაში. ისინი ახლა აქტიურად მუშაობენ ამ კოლმეურნეობაში.

კომუნამ „წითელი ოქტომბერი" (მოსკოვის გუბ.) დიდათ გაშალა საწარმოო მუშაობა. შეისყიდა 40-მდე ძროხა. საწარმოო საჭიროებაზე დახარჯულ თანხებმა გადააჭარბეს სახელმწიფო სესხის საშუალებებს 3 ათასი მანეთით. კომუნა დიდ სიძნელეებს განიცდიდა. კომუნის წევრები ყველაფერს იკლებდენ თავისთვის, ოღონდ თავი დაეღწიათ მძიმე მდგომარეობისთვის. მაგრამ კოლმეურნერბაძი ახლად შესულმა ქალებმა დაიწყეს საყვედუ-

რები და თავისი ქმრების დამუშავება, რომ ისინი კომუნიდან გამოსულიყვენ. და მხოლოდ კოლმეურნეობის ძველმა წევრ ქალებმა, რომელთაც 6-8 წლის სტაჟი ჰქონდათ, ძლივს შესძლეს დაერწმუნებიათ ახლად შესულნი იმაში, რომ ეს დაბრკოლებები დროებითია, რომ ის აუცილებლად უნდა დავსძლიოთ საუკეთესო მომავლისთვის. ასეთი აგიტაციით კომუნის ძველმა წევრებმა კომუნა დაშლას გადაარჩინეს.

ამნაირად, კოლმეურნეობის წარმატებითი მშენებლობისთვის საჭიროა სიმაგრე და სიმტკიცე. არ უნდა ავყვეთ კულაკების ბოროტ აგიტაციას და არ უნდა გვაშინებდეს სიძნელეები. საუკეთესო მომავლისათვის ღირს ცოტა მოვითმინოთ. რამდენად უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ქალი კოლმეურნეობის მშენებლობაში, მით უფრო მალე დავსძლევთ ყოველგვარ სიძნელეებს.

თანასწორი შრომისათვის — თანასწორი ხელფასი.

არის შემთხვევები, როდესაც კოლექტიური მეურნეობის წევრი ქალი ერთნაირი შრომისთვის ხელფასს უფრო ნაკლებს ღებულობს, ვიდრე მამაკაცი. ზოგიერთ კოლექტივებში ქალის მრომა უფრო იაფად ფასდება, თუმცა პრინციპად მიღებულია ერთნაირი შრომისთვის ერთნაირი ხელფასი აძლიოს. ასეა, მაგალითად, საქმე ბისტრისტოვის რაიონის კოლმეურნეობებში. ეს დიდი ნაკლულოვანებაა და მის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. კოლმეურნეობის წევრ-ქალმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ თავისი მდგომარეობით გათანასწორებული იქნეს მამაკაცთან.

იმისათვის კი, რომ გაუსწორდეს მამაკაცს მუშაობაში, ქალმა უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა, ან და, როგორც ამბობენ, ასწიოს თავისი კვალიფიკაცია. მაშასადამე, კოლმეურნეობის წევრი ქალი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალიშვილი უნდა შეეიდეს სპეცია-

ლურ კურსებზე, კონფერენციებზე, მონაწილეობა მიიღოს ექსკურსიებში, ჩაიწერს სასოფლო-სამეურნეო წრეში მექათმეობის, მერძეობის შესასწავლად, ტრაქტორისტების კურსებზე, სკოლებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში. კოლმეურნეობის წევრმა ქალმა ყოველი ღონით უნდა ეცადოს ასწიოს თავისი კვალიფიკაცია. **კოლმეურნეობის წევრი ქალი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სრულად გათანასწორებული და ერთნაირი შრომისთვის ერთნაირ ხელფასს მიიღებს, თუ იგი რთულ სამუშაოებს ისევე შეასრულებს; როგორც მამაკაცი.**

კოლმეურნეობის წევრ-ქალთა წამოწევა მმართველობის ორგანოებში

კოლმეურნეობის წევრი ქალები აქამდი ჯერ კიდევ ცოტა მონაწილეობას იღებენ მმართველობისა და საკონტროლო ორგანოებში და მათ ორგანიზაციებში. ამის გამო კოლმეურნეობის წევრი ქალი ბევრს კარგავს, მისი ინტერესები ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩება. იმისათვის, რომ დაცული იქნეს ქალებისათვის უფრო საინტერესო საკითხები, როგორიცაა, ბავშვების აღზრდის სწორად დაყენება, საზოგადოებრივი კვების საუკეთესოდ მოწყობა, საკითხები დედისა და ბავშის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, ხელფასის და სხვ., ამისათვის კოლმეურნეობის წევრმა ქალებმა გამგეობაში და სარევიზიო კომისიებში, და აგრეთვე კოლმეურნეობის ყრილობებზე და საკავშირო ორგანოებში უნდა ამოირჩიონ ქალები. გადარჩევის დროს კოლმეურნეობის წევრმა ქალებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ და თავისი წარმომადგენლები წამოაყენონ კოლმეურნეობების მართველობისა და საკონტროლო ორგანოებში.

აგრონომი—კოლმეურნეობის წევრი ქალის პირველი დამხმარეა

ზოგიერთ კოლმეურნეობებში ქალები არ არიან დაინტერესებული მეურნეობით, არ ითვისებენ აგრონომის რჩევა-დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ბოლო ძროხებს, ფრინველებს და სხვ. ასეთ კოლმეურნეობებში მეურნეობა ცუდათ არის დაყენებული. უფრო შემოსავლიანი მეურნეობაა იქ, სადაც კოლმეურნეობის წევრი ქალები აგრონომის ხელმძღვანელობით მუშაობენ. კომუნა „ნაპერწკალში“ მეურნეობა კულტურულად არის დაყენებული: წესიერად უვლიან ძროხებს, ხბოებს ნორმით აწოვებენ და სხვ. სწორად არის დაყენებული ქალის შრომა აგრეთვე კომუნა „მარქსში“. იქ ქალები ძროხას აგრონომის ხელმძღვანელობით უვლიან. ქალებს შორის განაწილებულია მოვალეობანი: ერთნი მეძროხეობას ეწევიან, მეორენი — მეფრინველეობას, მესამენი — მელორეობას.

კოლმეურნეობის წევრმა ქალმა უნდა შეისწავლოს აგრონომისაგან, როგორ შეინახოს და კვებოს ძროხა, რომ იგი იძლეოდეს მეტსა და უკეთესი ხარისხის რძეს. ჯერ აგრონომის ხელმძღვანელობით უნდა ხდებოდეს კვება და შემოწმებული უნდა იქნეს სწორი კვების შედეგები, შემდეგ კი ნორმით კვება უნდა გატარდეს, როგორც მუდმივი ღონისძიება.

აი, თვითეული ქალი თუ ასე დააყენებს თავის საქმეს, დაუჯერებს აგრონომის რჩევა-დარიგებას, იკითხავს წიგნებს მისი რეკომენდაციით და გაატარებს ცხოვრებაში მეურნეობის კულტურულად წარმოების საქმეს, იგი მართლაც აქტიური მშენებელი იქნება თავისი კოლმეურნეობისა. აგრონომი — კოლმეურნეობის წევრი ქალის პირველი დამხმარეა.

კავშირი საბჭოთა ორგანოებთან

მაგრამ არა მარტო კოლმეურნეობის შიგნით უნდა იყვეს აქტიური კოლმეურნეობის წევრი-ქალი. კოლმეურნეობა თემის ან რაიონის ფარგლებში ხომ სოციალისტური მეურნეობის კერა უნდა იქნეს. მაშასადამე, კოლმეურნეობის წევრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის საბჭოს მუშაობაში, მის სასოფლო-საშეურნეო სექციაში, სარაიონო აღმასკომის, პოლიტგანათლებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში.

სოფლის საბჭოს მუშაობაში კოლმეურნეობა ისევე დაინტერესებულია, როგორც სხვა სოფლები; მას აინტერესებს და მისთვის საჭიროა იცოდეს რამდენად სწორად იხარჯება თვითდაბეგვრიდან შემოსული თანხები, რა მდგომარეობაშია სკოლები, სოფლის გზები, რამდენად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სახანძრო მოწყობილობანი და სხვ.

სარაიონო აღმასკომში კიდევ უფრო საყურადღებო საკითხები წყდება: აგრონომიული, საბეითლო, დახმარება მიწათმოწყობაში, ჯანმრთელობის დაცვის, სასკოლო საქმეების ორგანიზაცია, საგზაო მშენებლობის, პოლიტგანათლების. ყველა ეს საკითხები ახლოს ეხებიან კოლმეურნეობას. მას იქ თავისი წარმომადგენლები უნდა ყავდეს, რომ დაიცვას თავისი ინტერესები და მონაწილეობა მიიღოს სარაიონო მეურნეობის მშენებლობაში. ბევრი ისეთი საკითხებიც წყდება იქ, რომელშიაც უმთავრესად ქალია დაინტერესებული: დედისა და ბავშის დაცვა, ბაგების მოწყობა, სასკოლო მშენებლობა. **კოლმეურნეობის წევრმა ქალებმა აგრეთვე აქაც უნდა წამოაყენონ თავისი წარმომადგენლები.**

წესრიგი და დისციპლინა კოლმეურნეობაში

კოლმეურნეობის წევრ-ქალებისგან ბევრად არის დამოკიდებული განსაზღვრული წესრიგის დამყარება და შრომის დისციპლინის გატარება. არის შემთხვევები, როდესაც ქალები პირველი ამყარებენ წესრიგს—თუ ისინი თვითონ კეთილსინდისიერად ასრულებენ შრომის დისციპლინას, მაშინ ყველა მათგან იღებს მაგალითს. მაშასადამე, ახლად მოწყობილ კოლმეურნეობაში ქალებმა პირველმა უნდა გაატარონ ცხოვრებაში სწორი და შეთანხმებული მუშაობა, რომ თავიდან იქნეს აცილებული არევ-დარევა, რაც ცუდათ იმოქმედებს კოლექტიურ მეურნეობაზე.

კოლმეურნეობის წევრების პარტიულმა ნაწილმა ყოველივე ზომები უნდა მიიღოს ერთმანეთის შესაკავშირებლად და პარტიის წევრების ირგვლივ უპარტიოების შემოსაკრებად. თუ ეს არ მოხერხდა, კოლმეურნეობის მთელი მეურნეობა დაეცემა. ამის მაგალითია კომუნა „სოციალური შუქების" (მიხაილოვის რაიონში) გამოცდილება. პარტიულებს შორის შემჭიდროების უქონლობამ იქ მიიყვანა კინკლაობამდე და გაუგებრობამდის და საქმე კინაღამ ცემა-ტყეპამდი მიდიოდა. ასეთი არეულობა გავლენას ახდენს კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციულ წესებზე: კომუნარების ყოფა-ცხოვრება არ უმჯობესდება, კულტურული მუშაობა მოისუსტებს, საბინაო და სანიტარული პირობებიც ცუდია. ასეთ მდგომარეობაში ქალებს აი სურთ კომუნაში ცხოვრება.

კოლმეურნეობა რომ შემოსავლიანი იქნეს, მასში მყოფთ მთელი შრომის მარაგი გამოყენებული უნდა იქნეს

კოლმეურნეობის შემოსავლიანობის გასადიდებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მასში მთელი მუშათა ძალების მარაგის გამოყენებას. ისე, კრასივომეჩენის

ამხანაგობაში (ტულის გუბ.) სამუშაო ძალის ყველა კა-ტეგორიების გამოყენება მთელი წლის განმავლობაში 1926 წ. შეადგენდა 71,4%-ს, 1927 წ.—82%. სასოფლო-სამეურნეო არტელში „საბჭოთა მეხრე" (არმავირის ოლქი) მუშათა ძალის წლიური მარაგის გამოყენება სრულიად უმნიშვნელო იყო, იგი შეადგენდა მხოლოდ 57%-ს, რომ უფრო სრულად იქნეს გამოყენებული შრომის მთელი მარაგი, ამისათვის საჭიროა, რომ ზამთარში, როდესაც ბევრია თავისუფალი მუშა-ხელი, მოწყობილი იქნას საწარმოები სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გადასამუშავებლად, კუსტარული საწარმოები და სხვ.

რა დარგებში სჯობია ქალის შრომის გამოყენება

ახლად დაარსებულ კოლმეურნეობაში პირველად ყოვლისა თავიდან უნდა ავიცილოთ ქალების უმუშევრობა. სრულიად უნაყოფოდ იხარჯება კოლმეურნეობის წევრი ქალის შრომა, თუ კოლმეურნეობაში არაა მოწყობილი საზოგადო კვება, საზოგადო სამრეცხავო, ბავშების საზოგადო აღზრდა. მაგრამ ისიც ცუდია, თუ ყველაფერი ეს მოწყობილია, კოლმეურნეობის წევრი ქალი განთავისუფლებულია შინაურ მეურნეობისგან, მას თავისუფალი დრო აქვს და იცის რას მოახმაროს ის, —კოლმეურნეობისთვის ეს არაა ხელსაყრელი. ხდება ეს იმიტომ, რომ მამაკაცის და დედაკაცის შრომის მარაგი თითქმის ერთნაირია (მოზრდილების შრომა კოლმეურნეობებში უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს), მაგრამ მეურნეობაში მხოლოდ მამაკაცების შრომას იყენებენ. ასეა საქმე, მაგალითად, კრასივომეჩენის ამხანაგობაში (ტულის გუბ.). აქ ქალის შრომის გამოყენება შეადგენს მთელი მარაგის 54—56%-ს, 46—44% ქალის შრომა კი გამოუყენებელი რჩება. ამნაირად, ქალის შრომა აქ ამხანაგობაში ნახევრად გამოუყენებელი რჩება. სასო-

ლო-სამეურნეო არტელში „საბჭოთა მეხრე"-ს (არმაგირის ოლქი) მეურნეობა თითქმის მხოლოდ მამაკაცის შრომაზეა დამყარებული (80%). აქედან ადვილი გასაგებია საყვედურები ქალთა უმუშევრობაზე კოლმეურნეობებში. ერთ-ერთ კოლმეურნეობაში კამათში გამოსულმა ქალმა განაცხადა: „ჩვენ, კოლმეურნეობის წევრი-ქალები, თავს ისე ვგრძნობთ, თითქოს მუქთახორები ვიყვეთ; დავდივართ ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში და არ ვიცით რას მოვახმაროთ ჩვენი შრომა". აი ეს ნაკლულოვანება უნდა ავიცილოთ თავიდან ახლად დაარსებულ კოლმეურნეობებში. პირველ რიგში თვით კოლმეურნეობის წევრმა ქალმა უნდა იზრუნოს ამაზე.

რა გზებია იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში თავიდან ავიცილოთ ქალთა უმუშევრობა? **ზოგიერთ კოლმეურნეობებში** (ლენინის სახ. კომუნა, ტამბოვის გუბ.) **ქალთა უმუშევრობის თავიდან აცილებას ცდილობენ სამკერვალო და სატრიკოტაჟო საქმის მოწყობით. სხვები კი** (ბურატო-მონგოლა) — **რძის მეურნეობისა და რძის გადამუშავების მოწყობით. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ქალთა უმუშევრობას თავიდან იცილებენ მეფრინველეობა-მეკვერცხეობის, მეცხვარეობისა და სხვა დარგების განვითარებით.**

შესწავლილი უნდა იქნას, თუ სოფლის მეურნეობის რომელ დარგში შეიძლება მეტი რაოდენობით გამოყენება ქალის შრომისა. კრასივომეჩენის (ტულის გუბ.) ამხანაგობის გამოცდილებიდან სჩანს, რომ მემინდვრეობაზე 1925-26 წ. დაიხარჯა 37,7% ქალის შრომა, 1926-27 წ. კი—23%; მესაქონლეობაზე 1925-26 წ. დაიხარჯა 17% 26-27 წ. კი—38%; მებაღეობა-მებოსტნეობაზე 1925-26 წ.—66%; 1926-27 წ. კი—39%, სამრეწველო წარმოებებში კი ორი წლის განმავლობაში დაბანდებული იქნა ქალის შრომის მხოლოდ 8%.

ამნაირად, ქალის შრომის გამოყენება უმთავრესად ხდება მეურნეობაში, მესაქონლეობაში და მემინდვრეობაში. აქედან ცხადია, რომ **ქალის შრომას ყველაზე**

უფრო იყენებენ სოფლის მეურნეობის ინტენსიურ, შრომა-ტევად დარგებში. ეს ფაქტებით მტკიცდება. ჩვენ უკვე გვაქვს მაგალითები კოლმეურნეობაში მეურნეობის სპეციალური დარგების განვითარებისა. კომუნა „შუქური"-ში გამოყავთ გაუმჯობესებული მოდგმის ბატები, ქათმები, იხვები. ეს დარგებიც დიდ შემოსავალს იძლევიან.

ასე, ქალის შრომის უკეთესად გამოსაყენებლად კოლმეურნეობამ უნდა გაადიდოს ტეხნიკური კულტურების ფართობი, განავითაროს სოფლის მეურნეობის სპეციალური (მეფრინველეობა, მეღორეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა და სხვ.). ამავე მიზნით კოლმეურნეობის წევრი-ქალები აუცილებლად ჩაბმული უნდა იქნენ დამხმარე საწარმოებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებლად.

შრომის ხელფასის გადახდის სისტემა

კოლმეურნეობის განვითარებისთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს წევრების მატერიალურ დაინტერესებას. ამ მიზნით კოლმეურნეობები თანდათან გადადიან შემოსავლის განაწილებიდან მშამელთა მიხედვით განაწილებაზე დახარჯული შრომის მიხედვით. ამ მხრით, შრომის ხელფასის გადახდის სისტემის მხრით, მაგალითად, გამოგვადგება კოსიფომეჩენის ამხანაგობა (ტულის გუბ.). იქ კოლმეურნეობის ყველა წევრისთვის და დაქირავებულ მუშებისთვის 192 სამუშაო საათისთვის თვიურად დაწესებულია განსაზღვრული ხელფასი. მამაკაცის და დედაკაცის შრომა ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის ერთნაირად ფასობს. ზედმეტი მუშაობა ერთ-ნახევარჯერ მეტად ფასდება, სამუშაოს შეუსრულებლობისთვის კი ხელფასიდან აკლდება. ხელფასის გარდა კოლმეურნეობების წევრები სარგებლობენ უფასო ბინით, და განათებით, სკოლით, საავადმყოფოთი. სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი მოპყრობისთვის წევ-

რების ერთი ნაწილი მთელი წლის განმავლობაში ღებულობს პრემიას. ხელფასი ეძლევათ კოლმეურნეობის პროდუქტებით, საჭიროების და მიხედვით კი პირველი მოთხოვნილების საგნებით საერთო ბეღლებიდან და ამხანაგობის საწყობებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გადაუდებელ საჭიროებისათვის ხელფასის ანგარიშში აძლევენ ფულსაც.

კოლმეურნეობის ფევრი ქალის მუშაობის პირობებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

ბევრ კოლექტიურ მეურნეობაში ჯერ კიდევ არა საკმაოდ ტარდება ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება. ახლად დაარსებულმა კოლმეურნეობამ ყოველი ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ თავიდანვე სწორად მოაწყოს **კოლექტიური ყოფა-ცხოვრება.**

კოლმეურნეობაში თავიდანვე უნდა დამყარდეს ამხანაგური დამოკიდებულება, შეთანხმებულად უნდა ხწარმოებდეს მუშაობა კოლმეურნეობის სასარგებლოდ: არ უნდა იქნეს დაშვებული კინკლაობა, ჩხუბი, ცემა, გინება, თავი უნდა დავაღწიოთ ლოთობას, აყალ-მაყალს, გაფანტული უნდა იქნეს რელიგიური ბურუსი (ხატები, საყდარში სიარული, ნათლობა, ჯვარის წერა, რელიგიური დღესასწაულები), ისინი უნდა შესცვალოს კულტურულმა მუშაობამ კლუბში (მომღერალთა გუნდი, ცოცხალი გაზეთი), სკოლაში შემოღებული უნდა იქნას წითელი ქორწინება, რევოლიუციონური დღესასწაულები და სხვ.

განსაკუთრებით ცუდ პირობებში არიან ქალები იმ კოლმეურნეობებში, სადაც არა საკმაოდ **გატარდა მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების განსაზოგადოება.** ქალის მდგომარეობა კომუნა, „სამართლიანობის ციხეში" იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ ის სუსტია, პირიქით,

ეს კომუნა ძლიერია: 1926 წ. მას საწყობში ჰქონდა 3.278,7 ც. პური, აუარება მსხვილი და წვრილი საქმაო რაოდენობით სას.-სამეურნეო მანქანები, საძაგალითო ზეთის სახდელი ქარხანა. ამ კომუნის მთელი უბედურება იმაშია, რომ იქ წევრებს შორის არ არის კავშირი, არ არის დისციპლინა, რომელიც ამხანაგურ დამოკიდებულებას უნდა ემყარებოდეს: არ არის მომჭირნეობა გახსაზოგადოებულ კოლექტიურ მეურნეობისადმი. ყველა განზე იხედება. არის შრომის განაწილება (ქალები კოლექტიურად წველიან ძროხებს), მაგრამ სამუშაო უხალისოდ კეთდება. თვითეული ოჯახი განცალკევებულად ცხოვრობს. არ არის საერთო სასადილო. სამრეცხველო, საბავშო დაწესებულებები, რადგან სუსტად არის განვითარებული მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების განსაზოგადოება, ქალს უხდება სამზარეულოში ტრიალი, ბავშების აღზრდა. სარეცხის რეცხვა, ქსოვა და სხვ. ერთი სიტყვით, მას დრო არ რჩება მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ და მეურნეობისთვის მუშაობაში. აქ ის თანასწორუფლებიანი ამხანაგი კი არ არის, არამედ თავისი ოჯახის მონაა.

განსაკუთრებით აშკარად სჩანს ქალების უსარგებლო მუშაობა შინაურ მეურნეობაში კომუნა „სამართლიანობის ცისკარში", რომლის ზეთსახდელ ქარხანაში გარედან დაქირავებული მუშები მუშაობენ, მაშინ, როდესაც ამავე კომუნის წევრ-ქალებსაც კარგად შეეძლოთ იქ მუშაობა; აქედან გასაგებია, თუ რისთვის აცხადებდენ საერთო კრებაზე სრულიად სამართლიანად ქალები: „ქალებს თავისუფლება შეპირდენ, ამის მაგივრად კი საქსოვითა და ფეჩით დაიმონესო".

მაშასადამე, იმისათვის, რომ ნამდვილათ გაუმჯობესდეს ქალის მდგომარეობა კოლმეურნეობაში, უნდა ვცდილობდეთ განვასაზოგადოებრივოთ მეურნეობა და ყოფა-ცხოვრება, განვათავისუფლოდ ქალი სამზარეულოდან, ბავშების აღზრდისაგან, ჩავაბათ ის სამეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობაში. ამიტომ ზოგიერთი

კომუნები ქალების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად თავის მოგებიდან ცალკე ფონდს ქმნიან.

მაგრამ კოლმეურნეობის წევრ-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება ხშირად თვით ქალისგან არის დამოკიდებული. ხშირად კოლმეურნეობაში ქალის ყოფა-ცხოვრების მდგომარეობა მატერიალურ ხელმოკლეობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ კოლმეურნეობების უკულტურობაზე. ბისტროისტროის რაიონის ბევრ კომუნაში ქალების მდგომარეობა ცოტა რამეთი განირჩევა უბრალო გლეხი ქალების მდგომარეობისგან. კომუნაში „სამართლიანობის ცისკარი“ ქალებისთვის და მათ ოჯახისთვის თითქმის არაფერს არ აკეთებენ: ისინი თვითონ აკეთებენ ჭოვილებს. არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. კომუნა „ნაპერწკალში“ ქალებმა 1926 წ. მოაწყვეს საბავშო ბაგები, მიუხედავად მამაკაცების წინააღმდეგობისა. ამ კომუნაში ქალები აქტიური არიან, ამიტომ მათი მატერიალური მდგომარეობა უკეთესია, ისინი თვითონ აუმჯობესებენ მეურნეობას. მათი მუშაობის შედეგები აშკარად სჩანს ქალებისთვისაც, მამაკაცებისთვისაც და ახლო-მახლო მოსახლე მცხოვრებისთვისაც.

მაშასადამე, კოლმეურნეობაში ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება, ბევრად არის დამოკიდებული თვით ქალების ენერგიასა და სიმაგრისაგან.

ბავშების კოლექტიურად აღზრდა. ჯერ კიდევ ხშირად შეხვდებით კოლმეურნეობებში ბავშების ინდივიდუალურ აღზრდას. ცოტაა საბავშო დაწესებულებები. თვითეული ოჯახი ცალკე ზრდის თავის ბავშებს, აღზრდა კი ცუდათ არის დაყენებული, ხშირად გოჭი უფრო კულტურულად იზრდება, ვიდრე ბავში. იმის გარდა, რომ ასეთი აღზრდა არაა სწორი, მავნებელია ბავშის ჯანმთელობისთვის და კიდევ ხელსაყრელიც არ არის: ინდომებს ბევრი ქალის შრომას, რომლის გამოყენება შეიძლება სხვა უფრო მეტ სასარგებლო საშუაოზე.

მაშასადამე, კოლმეურნეობის წევრმა ქალმა ყოველი ზომები უნდა მიიღოს თანამედროვე საბავშო ბაღებისა და საბავშო სახლების მოსაწყობად. ბავშების აღზრდის საქმე მთელი კოლმეურნეობის მზრუნველობის საქმედ უნდა გახდეს, ქალი კი უნდა გავათავისუფლოდ ამ საქმისგან და ის მამაკაცთან ერთად ჩავაბათ სამეურნეო მუშაობაში. კოლმეურნეობის წევრი ქალები უკვე იგნებენ ბავშების საზოგადოებრივ აღზრდის სარგებლიანობას. ამბ. შახოვის ქალი, ჩესმენის სამანქანო ამხანაგობის წევრი, გამოვიდა თათბირზე და განაცხადა: „მე ვნახე ქალაქის ბაღები და მე ეს წამოწყება ძლიერ მომეწონა. სოფლის დედაკაცებს რომ ასეთი სიკეთე ჰქონდეთ, ისინი დამშვიდებით იმშუავებდენ“-ო.

ქალის შრომის დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალის შრომის დაცვას კოლმეურნეობებში. ხშირად გაიგონებთ ქალებისგან საყვედურს, რომ მათ აძლევენ ისეთ სამუშაოს, რაც მათ ძალას აღემატება, განსაკუთრებით დამხმარე საწარმოებში.

კოლმეურნეობის მოვალეობაა—ყოველი ზომები მიიღოს ქალის შრომის დასაცავათ. ამისათვის ცხოვრებაში უნდა გატარდეს თანასწორი ხელფასი თანასწორი შრომისთვის, დაწესდეს ქალებისთვის ნორმალური სამუშაო დღე, შემოღებული იქნას კოლმეურნეობის წევრი ქალის

საექიმო დახმარება. ყურადღება უნდა ექცეოდეს ხელფასი და ორსულობის დროს შვებულება.

საექიმო დახმარება. ყურადღება უნდა ექცეოდეს მშობიარეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენას. არის შემთხვევა, როდესაც ქალისადმი დამოკიდებულება უარესია, ვიდრე ხბოიან ძროხისადმი. ქალებს უხდებათ უსუფთაობაში მშობიარობა, ექიმბაშობისა და სოფლის ბებიების დახმარებით. მაგალითად, სამანქანო ამხანაგობას „**გლეხი ქალის განთავისუფლება**“ (ბარდინის რაიონი) აქვს თავისი საშობიარო. მაგრამ **გლეხი ქალები** არ სარგებლობენ მით და დახმარებისთვის სოფლის ბებიებს მიმარ-

თავენ. ზოგიერთ ქალებს აქნამდი ჯერ კიდევ ეშინიათ საავადმყოფოში დაწოლა.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლება ან ძნელია სწორი საექიმო დახმარების მოწოდება. აი, მაგალითად, კომუნა „მარქსში“ უკვე იცავენ სისუფთავეს, კომუნარი ქალები საავადმყოფოებში მშობიარობენ, არის სეზონური ბაგები.

ახლად დაარსებულმა კოლმეურნეობამ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს, რომ დაუახლოვოს კოლმეურნეობას საექიმო დახმარება, პირველ რიგში კი დაუახლოვოს იგი კოლმეურნეობის წევრ ქალებს.

დედისა და ბავშის დაცვა. კოლმეურნეობის წევრმა ქალმა თავიდანვე უნდა მიიღოს ზომები, რომ გატარებული იქნეს დედისა და ბავშის დაცვა. აქამდი ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობებში მოგვარებული არაა დედისა და ბავშის დაცვა. კომუნა „შუქურა“-ში (იამზინის რაიონი) კოლმეურნეობის წევრი ქალის მდგომარეობა ცოტათი თუ განსხვავდება გლეხი-ქალის მდგომარეობიდან. შრომის დაცვა, დედისა და ბავშის დაცვა სრულიად არ ტარდება. თვითეული ოჯახი ცალკე ცხოვრობს, კვებაც ცალ-ცალკეა. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ კომუნას თითქოს არ შეეძლოს ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ იმიტომ, რომ მთელი ყურადღება მიქცეული აქვს მეურნეობის აღორძინებასა და გაუმჯობესებას, ჯიშიანი საქონლის, ღორებისა და კარგი ცხენების მოშენებას. ყოფა-ცხოვრების საკითხები კი აქ მივიწყებულია.

სხვა ადგილებში დედისა და ბავშის დაცვა ტარდება, მაგრამ არა საკმაოდ. მაგალითად კომუნებში „სამართლიანობის ცისკარი“ და „ნაპერწკალი“ ქალები ორსულობის დროს და მშობიარობის შემდეგ მუშაობისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ძლიერ ცოტა ხნით (1—2 კვირა). ასეთი დამოკიდებულება ქალისადმი არაფრით არ განსხვავდება გლეხი- ქალის მდგომარეობისგან დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობაში. აქიდან ცხადია, რომ კოლმეურნე-

ობა კი არ აბამს თავის მუშაობაში ქალებს, არამედ, პირიქით, კიდევაც აშორებს მას.

დედისა და ბავშის დაცვის საქმე უკეთესად არის დაყენებული ბისტრისტოვის რაიონის კომუნებში. იქ ქალები თავისუფლდებიან სამუშაოსგან სამი კვირით მშობიარობამდი და სამი კვირით მშობიარობის შემდეგ, ამ დროს განმავლობაში ისინი სრულიად ღებულობენ თავის ხელფასს.

ამნაირად, იმიტომ რომ გლეხის ქალმა ერთბაშად იგრძნოს თავისი მდგომარეობის უპირატესობა კოლმეურნეობაში, და აგრეთვე ჯანმრთელი თაობის უზრუნველსაყოფად, კოლმეურნეობაში პირველ რიგში გატარებული უნდა იქნეს დედისა და ბავშის დაცვა.

როგორც მაგალითად ამ მხრივ, დედისა და ბავშის დაცვის კარგად მოწყობის მხრით, შეიძლება ავიღოთ კომუნა „ცხოვრების ცისკარი“ (სროტინის რაიონი). იქ ორსული ქალები მშობიარობამდი 6 კვირის წინ თავისუფლდებიან მძიმე ფიზიკურ შრომისგან. 3 კვირით წინ კი სრულიად თავისუფლდებიან ყოველგვარი მუშაობისგან. აგერთვე მშობიარობის შემდეგ: სამი კვირის სრულიად თავისუფალი არიან სამუშაოსგან, შემდეგი სამი კვირის განმავლობაში კი მცირე საოჯახო სამუშაოს ეწევიან. შემდეგ, გახურებული მუშაობის ხანაშიაც კი თვითეული დედა ორი საათით თავისუფლდება ბავშისთვის ძუძუს საწოვრად. ყველა ამ დროის განმავლობაში (12 კვირა შვებულება და ბავშისთვის ყოველდღიურად ძუძუს წოვება) ხელფასიდან ქალს არაფერს არ უკავებენ; იმავე ხელფასს აძლევენ, რომელსაც ღებულობდა ქალი შვებულებამდი.

ამნაირად, კოლმეურნეობის წევრი ქალების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად აუცილებელია რაც შეიძლება მეტად განვასაზოგადოთ ყოფა-ცხოვრება. უნდა მოეწყოს ბავშების საზოგადო აღზრდა ცალკე კოლმეურნეობებში, ან კოლმეურნეობათა ჯგუფებში, მოეწყოს საერთო სასადილოები, სამზარეულოები, სამრეცხველოები, საბავშო ბაღები, ბაგები და სხვ.

აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ზომები კოლმეურნეობის წევრ ქალისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად დედათა ბავშთა კონსულტაციების მოწყობის გზით, ბებია-ქალების პუნქტების დაარსებით. თუ ვინიცობაა შეუძლებელია კოლმეურნეობაში ამის მოწყობა—მაშინ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კოლმეუნრეობის წევრ-ქალთათვის პირველ რიგში საექიმო დახმარების აღმოჩენა ამ რაიონის საექიმო პერსონალის მიერ. კომუნებში საბინაო მშენებლობის გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშთა საზოგადო დაწესებულებების, სასადილოების, სამრეცხველოების და სხვ. აშენება. ამ მიზნისათვის ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კრედიტები, რომელსაც კოლმეურნეობა ღებულობს, და ტყის მასალა, რომელსაც მას უფასოთ აძლევენ.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

კოლმეურნეობის დაარსების შემდეგ მაშინვე უნდა იქნეს მიღებული ზომები მისი სკოლის უზრუნველსაყოფად. ეს უნდა გაკეთდეს თვით კოლმეურნეობის ძალებით ან ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ რაიონის საზოგადოებრივი სახელმწიფო ორგანიზაციების საშუალებები და ძალები. ჯერ კიდევ აქამდე კოლმეურნეობები ხშირად უზურნველყოფილი არ არიან სკოლებით. ასე, 1926 წლის 1 ოქტომბრისთვის 246 კოლმეუნრეობაში მხოლოდ 75 პირველი საფეხურის სკოლა იყო. კოლმეურნეობამ, რომელიც ისახავს ამოცანას მოწინავე მეურნეობად გახდეს. ყოველივე ზომები უნდა მიიღოს თავის დროზე ააშენოს სკოლა ან თვით კოლექტიურ მეურნეობაში ან ჯგუფში.

არის შემთხვევები, როდესაც თვით მშობლებს არ სურთ ასწავლონ თავის ბავშებს. მაგალითად, კოლმეურნეობა „წითელ ქვეყანა“, რომელშიც შრომის ხელფასის მიცემა ფულით ხდება, ბევრი ეტანება ფულს, ცდილობენ თავისი ქალიშვილები ძიძებად მოაწყონ და ამიტომ მათ

სკოლაში არ უშვებენ. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოლექტიური მეურნეობები ბევრს კარგავენ მით, რომ მათ წევრებს შორის წერა-კითხვის უცოდინარნი არიან. წერა-კითხვის უცოდინარებთან ძნელია კარგი მეურნეობის მოწყობა. იმათ არ შეუძლიათ იქნენ აქტიური მშენებლები, რადგან მათთვის ხელმიუწდომელია გაზეთები, ბროშურები, მათ არ შეუძლიათ იმუშაონ სასოფლო- სამეურნეო წრეში, კლუბში, მათთვის ძნელია კულტურული მეურნე გახდენ.

კოლმეურნეობის მოწყობის შემდეგ მაშინვე უნდ> მოვკიდოთ ხელი წევრებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება, რომ კოლმეურნეობა თავიდანვე მთავარ ყურადღებას აქცევს მეურნეობის გამაგრებას. და მხოლოდ შემდეგ ზრუნავენ კულტურულ მოთხოვნილებებზე. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვახოთ სასოფლო- სამეურნეო არტელი „ახალი ცხოვრება“ (ვორონეჟის გუბ.). 1922 წლ. 1926 წლამდე წერა-კითხვის ლიკვიდაციის საქმე იქ ძლიერ ცუდათ იყო. მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო მან აქტიურად მუშაობა მასწავლებლის საშოვნელად და მატერიალური დახმარებისთვის სკოლის შენობის ასაგებად. პირველი ოთხი წლის განმავლობაში არტელს არავითარი მუშაობა არ უწარმოებია თავის წევრებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის.

კოლმეურნეობის ორგანიზაციის პირველი წლებიდანვე აქტიურად უნდა ვიმუშაოთ, რომ ადგილობრივი ორგანიზაციებიდან დახმარება მივიღოთ და წერა-კითხვის უცოდინარობა თავის დროზე აღმოფხვრათ.

უნდა ვეცადოთ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობა აღმოფხვრათ კოლმეურნეობის ყველა წევრებში, განსაკუთრებით კი ქალებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას რელიგიური ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ.

ბევრ კოლმეურნეობაში რელიგიურ ცრუმორწმუნეობას ძლიერ ჩქარა აღწევენ თავს. კომუნაში „წითელი არწივები" 40 ოჯახიდან, მხოლოდ ერთ ოჯახში სრულდება რელიგიური წესები. იმასაც მოხუცებულები ასრულებენ და კომუნის გარეშე. ბიის რაიონის კომუნებში ჯერ კიდევ 1926 წელს შობის უქმეებში ქალიშვილები ჩვეულებრივად მუშაობდენ (თეთრეულებს რეცხავდენ).

რელიგიური ცრუმორწმუნეობისაგან თავის დაღწევა შეიძლება კოლმეურნეობებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერებით, ლიტერატურის გამოწერით, ქალთათვის კუთხეების და წრეების მოწყობით და სხვ.

საერთოდ კულტურულ- განმანათლებელი მუშაობა კოლმეურნეობებში სუსტად არის დაყენებული. ასე, 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის 246 კოლმეურნეობაში იყო მხოლოდ 29 კლუბი, 139 ბიბლიოთეკა, 78 სამკითხველო, 48 სასოფლო- სამეურნეო წრე, 29 პოლიტწრე, 34 საზოგადო საგანმანაწილებლო წრე, ერთი კულტკომისია. ჩვენთვის ხომ აშკარაა, რომ კულტურული მეურნეობის აშენება, შრომის ნაყოფიერების წამრატებით აწევა შეუძლია მხოლოდ კულტურულ ადამიანს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში აგრონომიულ პროპაგანდას. ამით კოლმეურნეობების წევრები უფრო კულტურული მშენებლები შეიქმნებიან და უკეთესად მოაწყობენ თავის მეურნეობას.

საზოგადოებრივი მუშაობა და ქალების ჩაბმა პარტიაში

საზოგადოებრივი მუშაობით ქალს დიდი სარგებლობა მოაქვს თავისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. მაგრამ კოლმეურნეობის წევრი ქალები აქამდი მცირე მონაწილეობას იღებენ საზოგადო მუშაობაში. 1926 წლის 1 ოქტომბრისთვის 246 კოლმეურნეობაში საზოგადოებრივ სა-

ორგანიზაციო მუშაობაში ჩაბმული იყო მამაკაცი 461, ქალი კი—მხოლოდ 46.

ქალის სუსტი აქტივობა ხშირად გამოწვეულია კოლმეურნეობის წევრების საქციელით. ხშირი შემთხვევაა, როდესაც საერთო კრებაზე მოსულ ქალს დასცინიან. ეს კი, რასაკვირველია, მასში საზოგადოებრივი მუშაობისადმი ინტერესს კლავს. ხშირად კი ქალს უნდა აქტიური საზოგადო მომუშავე გახდეს, მაგრამ ის მცირე მცოდნეა, და მას არავინ არ ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიქცეს.

კოლმეურნეობის წევრმა ქალმა უფრო აქტივობა უნდა გამოიჩინოს საზოგადოებრივ მუშაობაში და თავისი ინტერესები დაიცვას სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამისათვის ქალებმა უფრო ხშირად უნდა მოიწვიონ. რაიონული ქალ-ორგანიზატორი, ისწავლონ იმისგან და მიიღონ რჩევა-დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოონ საზოგადოებრივი მუშაობა.

აქტიური საზოგადოებრივი მუშაობის დაწყების შემდეგ, კოლმეურნეობის წევრმა ქალმა უნდა იფიქროს პარტიაში ან კომკავშირში შესვლაზე.

დღემდის პარტიაში და კომკავშირში კოლმეურნეობის წევრ ქალთა ძლიერ უმნიშვნელო რიცხვია ჩაბმული. პარტიის წევრ ქალთა რიცხვი კოლმეურნეობის წევრ ქალთა საერთო რიცხვიდან უდრის მხოლოდ 0,18 პროც.-ს, კომკავშირის კი—0,41 პროც.-ს. კოლმეურნეობებში პარტიის წევრების საერთო რაოდენობასთან შედარებით ქალები არიან 5,3 პროც., კომკავშირელები კი—8,9 პროც.

პარტიაში და კომკავშირში ქალების სუსტად ჩაბმაში დამნაშავე არიან კოლმეურნეობებში მომუშავე პარტიულები. მაგალითად, კომუნა „მარქსიდან" ქალები საყვედურს აცხადებენ, რომ ქალთა სადელეგატო კრებებზე პარტიის წევრებს ერთხელაც არ გაუკეთებიათ მოხსენება პარტიის მნიშვნელობაზე და არ მოუწოდებიათ ქალებისთვის პარტიაში შესვლაზე. მეორე ქალი ელცოვის რაიონის სამანქანო ამხანაგობიდან უსაყვედურებს მოწინავე ამხანაგებს, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ ქალთა შო-

რის მუშაობასო. ის ამბობს, რომ ქალების მუშაობას განსაზღვრული შედეგები მოაქვს. მაგრამ პარტიის წევრები იმიჯნებიან იმისაგანო. პარტიის წევრებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ქალების ჩაბმას პარტიისა და კოლექტივში კოლმეურნეობის წევრი ქალი—პარტიული და კომკავშირელი უფრო აქტიურ მონაწილეობის მიღებას შესძლებს მეურნეობის მშენებლობაში და მეტ სარგებლობასაც მოუტანს კოლმეურნეობას.

როგორც მაგალითად პარტორგანიზაციის სწორი მუშაობისა, შეიძლება აქ მოვიყვანოთ კომუნა „წითელი არწივების" უჯრედის მუშაობა. იქ სპეციალური ორგანიზაციაა გამოყოფილი კომუნარ ქალებს შორის სამუშაოდ: ეწყობა კრებები, იწერენ ჟურნალს, რომელსაც ხმა-მაღლა კითხულობენ და სხვ.

თვითონ უნდა ისწავლონ და სხვას მაგალითი აჩვენონ

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობაში ქალების მუშაობის წახალისებას. ამის შესახებ აირას ამბობს ამხ. ვაშჩეიკინის ქალი, ბისტრიტოკის რაიონის სამანქანო ამხანაგობის წევრი: „გასულ სეზონში მე ვაწარმოებდი კვერცხების შეკრებას. ჩემ მეზობლებს შორის შევკრიბე 400-დი კვერცხი. მაგრამ ეს არავინ არ იცის, რადაგან საკრედიტო ამხანაგობა არ აწარმოებდა სამაგალითო მუშაობის აღრიცხვას. ამხ. ვაშჩეიკინს აუცილებლად მიაჩნია, რომ აღრიცხვაზე აჰყავდეთ ქალების აქტიურობა და ამით სხვა ქალებიც წაახალისონ აქტივობაზე.

ჩვენ უკვე გვაქვს საკმაო რიცხვი კოლმეურნეობებისა, რომლებიდანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მაგალითად, ამხანაგობა „10 ოქტომბერი". იქ მეურნეობა საერთო ქალებით შენდება, კეთდება სახმობი, შემოღებულია გადახარისხებული თესლით თესვა. ან და ავიღოთ

სტარბარდინის რაიონის ამხანაგობა, რომელშიც კოლექტიურად ითესება მიწები; განზრახულია მეფრინველეობის ამხანაგობის ჩამოყალიბება. ან და ავიღოთ სიჩევის რაიონის კომუნები, რომლებიც უკვე გადავიდენ ცხრამინდვრიან თესლთბრუნვაზე, შემოიღეს განხარისხებული ხორბლის თესვა. ან კომუნები „წითელი ქვეყანა“ და „ლენინიზმის სინათლე“, სადაც კომუნარი ქალები აწარმობენ ხბოების კვებას აგრონომის რჩევით, სწარმოებს ძროხების წესისამებრ გამოკვება და სხვ.

აი ის ამხანაგობები და კომუნები, რომლებიც აუმჯობესებენ თავის მეურნეობას, და სამაგალითოდ უნდა გახდენ ახლად დაარსებულ კოლმეურნეობათათვის. მეორეს მხრით, ყოველი **ახლად დაარსებული კოლმეურნეობა უნდა ცდილობდეს, რომ მაგალითი გახდეს გარშემო მცხოვრებ მოსახლეობისთვის.** ამისთვის საჭიროა თავისი მეურნეობის გამაგრება, მოსავლიანობის აწევა. და აგრეთვე დახმარების გაწევა მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ფენებისთვის, მათთვის კოლმეურნეობის გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების სასარგებლოდ გადაცემა და სხვ.

კოლმეურნეობის ამოცანა, განსაკუთრებით იმათი, სადაც ბევრი ქალებია, მდგომარეობს იმაში, რომ ღარიბი გლეხი ქალი დაუახლოვოთ კოლმეურნეობებს მათთვის სამეურნეო დახმარების აღმოჩენით. მათი მომარაგება შეღაჟათიან პირობებში განხარისხებული და გადარჩეული თესლით. სასოფლო- სამეურნეო მანქანებით, ტრაქტორებით და სხვ.

ვის უნდა მიმართოს გლეხ-ქალმა დახმარებისთვის კოლმეურნეობის მოსაწყობათ

აქ დასახული ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად კოლმეურნეობის წევრმა ქალმა დახმარებისთვის უნდა მიმართოს იმ რაიონის, თემის თუ სოფლის ორგანიზაციებს, სადაც იმყოფება კოლმეურნეობა.

კოლმეურნეობის წევრი ქალისთვის ყველაზე ახლობელი დამხმარეა უბნის აგრონომი. მთელი მისი აგრონომიული დახმარება იმნაირად უნდა იყვეს დაყენებული, რომ კოლმეურნეობა მართლაც სამაგალითო გახდეს გარშემო მცხოვრებ მოსახლეობისთვის. ამიტომ **პირველ რიგში კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად** ის ატარებს როგორც მარტივ ღონისძიებებს (ადრეული ნასვენის მოხვნა, მესაქონლეობის გაუმჯობესება და სხვ.), ისე უფრო რთულ ღონისძიებებს (მრავალმინდვრიანობა. მეურნეობის მანქანიზაცია; პროდუქტების ტექნიკური გადამუშავება, თესლის გახარისხება. ახალი ტექნიკური საშუალებების გატარება მიწათმოქმედებაში და მესაქონლეობაში, საქონლის გამოკვება, შენახვა და გაწვრთვნა, სასოფლო- სამეურნეო პროდუქტების გასაღება კოოპერაციის საშუალებით).

აგრონომი კოლმეურნეობების საშუალებით ატარებს აგრონომიულ ღონისძიებებს, სდებს მაფთან ხელშეკრულებას საცდელ- საჩვენებელი ღონისძიებების გასატარებლად, გასაქირავებელი პუნქტების მოსაწყობად და სხვ.

აგრო`როპაგანდასაც კოლმეურნეობების საშუალებით ატარებს აგრონომი: აწყობს სასოფლო-სამეურნეო კურსებს, სასოფლო- სამეურნეო წრეებს, ლექციებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმს და სხვ.

ალზრდის საქმის სწორად დაყენებაში კოლმეურნეობას დაეხმარებიან რაიონისა და თემის სახალხო განათლების განყოფილებები. მათი ამოცანაა კოლმეურნეობა გახადონ სოფლად საზოგადოებრივი აღზრდის დასაყრდენ პუნქტად. ამისათვის ისინი ცალკე კოლმეურნეობებში ან კოლმეურნეობათა ჯგუფებში აწყობენ საბავშო დაწესებულებებს. სახალხო განათლების განყოფილებები დაეხმარებიან ქალებს საბავშო ბაგების, საბავშო მაგიდების და საბავშო სახლების მოწყობაში.

დედისა და ბავშის დაცვის გატარებაში კოლმეურნეობებს დაეხმარებიან ჯანმრთელობის, დედისა და ბავშის

დაცვის განყოფილებები. ისინი იმათ დაეხმარებიან ბავშ-თა და ორსული ქალებისთვის კონსულტაციის მოწყობაში, საექიმო დახმარების მოწყობაში და სხვ.

კოლმეურნეობის წევრთა კულტურული დონის ამაღლებაში მათ დაეხმარება პოლიტგანათლების განყოფილება და სარაიონო აღმასკომების კომისიები. ისინი განაგებენ ახალ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნას კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობათა ჯგუფებში. თუ თვით კოლმეურნეობაში არავითარი კულტურული დაწესებულება არ არის, პოლიტგანათლების დახმარებით მას შეუძლია მიემაგროს მახლობელ სოფელზე, სადაც არის ჭრ-სამკითხველო.